საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუტოის გაფანა ყველა უკანონობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 22-23 სექტემბერი. 2020 წ. №117 (9043) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ხელისუფლებასა და ნაციონალებზე განაწყენებული ამომრჩეველი მხოლოდ არჩევნების წინ გადაწყვეტს, ხმა ვის მისცეს...

4

ვინ ვის გადაიბირებს?!

ბიორგი გახარია:

2

ყველა საქვეყნო საქმეს წარმატებით დავასრულებთ!

„გურამ შარაძის მკვლელობაში სააკაშვილის როლი უმთავრესია, ისევე, როგორც

5

გიგა ბოკერიასი“

აზერბაიჯანის პრეზიდენტი მადლიერია

ილჰამ ალიევი – საქართველომ არ დართო ნება თავისი ტერიტორიის გავლით სომხეთში იარაღი გადაეტანათ, მინდა, ამისთვის საქართველოს ხელისუფლების მიმართ მადლიერება გამოვხატო.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი საქართველოს ხელისუფლებას მადლობას უხდის, რომ არ დაუშვა, სომხეთში იარაღი საქართველოს გავლით შეეტანათ.

„როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველომ არ დართო ნება, თავისი ტერიტორიის გავლით სომხეთში იარაღი გადაეტანათ“, – აცხადებს ალიევი. მისი თქმით, სწორედ ამის გამოა, რომ ახლა სომხეთში იარაღი სატრანსპორტო თვითმფრინავებს კასპიისპირა ქვეყნების ტერიტორიების გავლითა და საჰაერო გზით ჩააქვთ. საუბარია მიმდინარე წლის ივლისში ზოგიერთი მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციაზე, თითქოს სერბეთმა სომხეთში იარაღი საქართველოს ტერიტორიის გავლით შეიტანა.

„საქართველო მოიქცა როგორც საიმედო პარტნიორი. მინდა, ამისთვის, გამოვხატო ჩემი მადლიერება საქართველოს ხელისუფლების მიმართ. შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლების სახით, ჩვენ ვხედავთ საიმედო პარტნიორსა და მეგობარს“, – აცხადებს ილჰამ ალიევი.

პრეზიდენტის თქმით, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ყოველდღიურად სულ უფრო მეტად მტკიცდება მთავრობათაშორისი კავშირები. ხორციელდება მრავალი პროექტი. უახლოეს მომავალში კი დაგეგმილია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. ილჰამ ალიევი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს აკავშირებთ როგორც ისტორიული კავშირები, ასევე საერთო ინტერესები. მისივე თქმით, დღეისთვის არსებული, განვითარებადი თანამშრომლობა კი ორ ქვეყანას შორის საერთო ინტერესებს ემსახურება და რომ ორი ქვეყნის მთავრობა ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტზეა.

„აზერბაიჯანი ყოველთვის საქართველოს გვერდითაა. არ მინდა, ახლა ჩამოვთვალო ეს ისტორიული ფაქტები. თუმცა, აზერბაიჯანი ყოველთვის უჭერს მხარს საქართველოში განვითარებას, კეთილდღეობას, სტაბილურობას“, – აცხადებს ალიევი.

ამასთან, მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს „12 ივლისამდე რამდენიმე დღით ადრე, სომხეთში სერბეთიდან სხვადასხვა კალიბრის ნაღმტყორცნები საქართველოს გავლით მოხვდა“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის 20 ივლისს გამოეხმაურა. უწყებამ გავრცელებულ ინფორმაციას ტენდენციური უწოდა და აღნიშნა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ორ პარტნიორ ქვეყანას შორის პრობლემის ხელოვნურად შექმნისკენ არის მიმართული.

პანდემიის გამო შიმშილის საფრთხე რეალურია!

კორონავირუსის მძვინვარე პანდემიის გამო მსოფლიოს შიმშილის საფრთხე დაემუქრა. მდგომარეობა მძიმე იყო გასულ წლებშიც, მაგრამ ახლა ვითარება საგანგაშო ნიშნულთანაა. როგორც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი აცხადებს, 2019 წელს სამ მილიარდ ადამიანს არ ჰქონდა წვდომა ჯანსაღ კვებაზე და არასაკმარისი კვების სხვა ფორმებით ხასიათდებოდა.

ვითარება რთულია საქართველოშიც. ჯანდაცვის გამოწვევებთან ერთად, ახლა მოსახლეობისთვის მთავარი ეკონომიკა და შემოსავალია, რომლის კიდევ ერთხელ შემცირება, შიმშილის საფრთხის წინაშე დააყენებს მოსახლეობას და კატასტროფამდე მიიყვანს მთელ ქვეყანას.

ქართველი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეპიდემიის გამო, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. ცხადია, გლობალური პროცესის გავლენა მძიმე იქნება მოსახლეობისთვის. როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი **კობა კობალაძე** აღნიშნავს, საფრთხეშია მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენა და რისკის შესამცირებლად მთავრობამ ზომები უნდა გააძლიეროს.

– „გლობალურ შიმშილობაზე ჯერ კიდევ 5 წლის წინ ლაპარაკობდა ამერიკის განსაკუთრებულ სიტუაციათა დეპარტამენტი. ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობის მოსალოდნელ პრობლემაზე ინგლისში ალაპარაკდნენ. ამას მთელი მსოფლიოდან მოჰყვა გამოძახილი, საქართველოს გარდა. ამ ეტაპზე კი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია გვაფრთხილებს, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. სასურსათო თვითუზრუნველყოფას თუ არ გავზრდით, საქართველოში შიმშილი გარდაუვალია, განაცხადა კობალაძემ.

გიორგი გახარია: ყველა საქვეყნო საქმეს წარმატებით დავასრულებთ!

სოფლის მეურნეობა აქ ყოველთვის იყო განვითარებული და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მიუხედავად საკმაოდ რთული რელიეფისა, თითოეულ ოჯახს, რომელიც აქ ცხოვრობს, მთავრობა მიეხმარება სხვადასხვა პროგრამით, იმისთვის, რომ ადამიანები დამაგრდნენ მიწაზე, ისინი, ვისაც ამის სურვილი აქვთ; ახალგაზრდებს ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობა, რა შესაძლებლობებიც თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში გვაქვს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ ხარაგაულში „ქართული ოცნების“ კანდიდატების პაატა კვიჟინაძისა და კობა ლურსმანაშვილის წარდგენისას განაცხადა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, პანდემიისა, ამ მხარეში სამუშაოები არც ერთი დღით არ შეჩერებულა. ჩვენ ამით ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ რიკოთის უღელტეხილის მშენებლობას აქვს კრიტიკულად დიდი მნიშვნელობა ქვეყნისთვის. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ხარისხობრივად სულ სხვა ქვეყანას მივიღებთ. ეს იქნება მობილობის უმაღლესი დონე, რომელიც პირდაპირ იმოქმედებს სწრაფ ეკონომიკურ ზრდაზე. ხარაგაულისთვის ამ გზას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მინდა იცოდეთ, რომ ის მცირე ბიზნესები, რომლებიც ამ გზის ირგვლივ ყოველთვის იყო და იქნება, ჩვენ მათი შენარჩუნებისთვის მაქსიმუმს გავაკეთებთ და ეს ყველაფერი უფრო უკეთესი ფორმით იქნება გაკეთებული. როდესაც ეს გზა დასრულდება, მიუხედავად იმისა, რომ დღესაც აქ უამრავი ადგილობრივია დასაქმებული, ის უნდა გახდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დასაქმების სტიმულირების ახალი, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი და დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება.

ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს ერთად დაწყებული და ყველა ეს მნიშვნელოვანი საქმე უნდა დავასრულოთ ერთად და გამარჯვებით. ამ გამარჯვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება არჩევნები, რომელიც უნდა ჩავატაროთ 31 ოქტომბერს და დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიან ბრძოლაში ბატონი პაატა კვიჟინაძე გაიმარჯვებს, ამაში უბრალოდ ეჭვი არ მეპარება. წლებია, ვიცნობ ამ ადამიანს, ერთად ბევრი გვიმუშავია, მისი კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება ყოველთვის იყო სანიმუშო და მე ამას ლამაზი სიტყვებისთვის არ ვამბობ. დარწმუნებული ვარ, ბატონი პაატა გაგრძელებს პარლამენტში მუშაობას და იქნება უკვე ხარაგაულელების ღირსეული ხმაც.

„ქართული ოცნების“ ლიდერებმა ხარაგაულში საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პაატა კვიჟინაძე და ხარაგაულის მერობის კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი წარადგინეს.

საჩხერე - წარმატებული საქართველოს მოდელი

ჩვენ ბევრს დავდივართ სხვადასხვა რეგიონებში, ბევრს ვმოგზაურობთ, ბევრ გეგმაზე ვსაუბრობთ ჩვენს მოქალაქეებთან და საჩხერეს ერთი რამ განასხვავებს ყველასგან, საჩხერე უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც მოდელი, როგორი საქართველო გვინდა, რომ დავინახოთ უახლოეს პერიოდში და ამაში პირდაპირი წვლილია ბიძინა ივანიშვილის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საჩხერეში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პაატა კვიჟინაძის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ უახლოეს პერიოდში სხვა მუნიციპალიტეტებიც ასეთი იყოს.

„დიდი პატივია, აქ, თქვენთან ერთად საუბარი ხვალინდელ დღეზე. რა თქმა უნდა, აკაკის სამშობლოდან საუბარი საქართველოს მომავალზე, დიდი პასუხისმგებლობაც არის, მაგრამ ახლა მინდა ამას ცოტა სხვანაირ, თბილ და შინაურულ გარემოში შევხედო. დღეს, ჩვენ ბევრს დავდივართ სხვადასხვა რეგიონებში, ბევრს ვმოგზაურობთ, ბევრ გეგმაზე ვსაუბრობთ ჩვენს მოქალაქეებთან და საჩხერეს ერთი რამ განასხვავებს ყველასგან, საჩხერე უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც მოდელი, როგორი საქართველო გვინდა, რომ დავინახოთ უახლოეს პერიოდში და ამაში პირდაპირი წვლილია ბიძინა ივანიშვილის. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ უახლოეს პერიოდში სხვა მუნიციპალიტეტებიც ასეთი იყოს. მარტივად რომ ვთქვათ — ჯანდაცვა, განათლების სისტემა თავიდან ბოლომდე, ინფრასტრუქტურა, სპორტი, კულტურა, გზები — ეს არის ყველაფერი იმისთვის, რომ ამ მუნიციპალიტეტის თითოეულმა მოქალაქემ ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რომელიც თქვენთვის შეიქმნა და ეს, სიმართლე უნდა ვთქვათ და ვაღიაროთ, შექმნა „ფონდმა ქართუმ“ და ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუდმივად ასე უნდა გაგრძელდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ კარგი საფუძველია და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ სხვა მუნიციპალიტეტებიც და საჩხერეც კიდევ უფრო გაძლიერდეს. ახლა რაც კეთდება, ზემო იმერეთ-რაჭის გზა იქნება ძალიან მაგარი პროექტი, რომელიც შეძლებს უფრო მეტი ტურისტი მოიყვანოს ამ რეგიონში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ. ონელებისა და ამბროლაურელებისთვის ეს იქნება უახლოესი გზა, რომ თბილისიდან დაუკავშირდნენ თავიანთ რეგიონებს“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

რა წესები უნდა დაიცვათ ამომრჩევლებმა არჩევნების დღეს?!

ცესკოს ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშავა და კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი დადგენილებით მიიღო. ინფორმაციას ცესკო ავრცელებს.

დოკუმენტი იმ სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებს განსაზღვრავს, რომლის დაცვითაც ამომრჩევლებმა არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ და რომლის მიხედვითაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა და ჩართულმა მხარეებმა უნდა იმოქმედონ.

პროტოკოლის თანახმად, **კენჭისყრის შენობაში შესვლამდე, თერმოსკრინინგს გაივლიან როგორც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, ისე საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირები; ისინი ხელებს დადგენილი წესით დაიმუშავებენ და გაიკეთებენ პირბადეს. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები დამატებით უზრუნველყოფილი იქნებიან დამცავი ფარითა და ერთჯერადი ხელთათმანებით.**

კენჭისყრის შენობის შესასვლელებთან იქნება განთავსებული დეზობარიერი, ხელის დეზინფექციისთვის საჭირო ხსნარი და ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ. საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ხშირად შეხებადი ზედაპირების სათანადო წესით დეზინფექციას და საარჩევნო უბნების შეძლებისდაგვარად ბუნებრივ ვენტილაციას.

რაც შეეხება ამომრჩევლის მიერ კენჭისყრის შენობაში შესვლის წესებს:

ამომრჩეველი არ გაივლის თერმოსკრინინგს, მაგრამ ვალდებულია, ეკეთოს პირბადე. იმ შემთხვევაში, თუ მას არ ექნება პირბადე, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნულით.

ამომრჩეველს უბანზე მისვლისას ორჯერ, მცირე დროით, მოუწევს პირბადის მოხსნა იდენტიფიცირებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურების შესასრულებლად. თუ ამომრჩეველი არ მოიხსნის პირბადეს, მასზე არ გაიცემა საარჩევნო ბიულეტენი (ბიულეტენები). ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტრით. ხმის მიცემის შემდეგ, ამომრჩეველმა კალმისტარი უნდა განთავსოს კალმისტრებისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში და დროულად დატოვოს საარჩევნო უბანი.

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციით, ფარული კენჭისყრის კაბინები ისე იქნება მოწყობილი, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები და ამასთან, არ დაირღვეს კენჭისყრის ფარულობის პრინციპი. „ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის ამომრჩევლების და საარჩევნო პროცესის სხვა მონაწილეების ჯანმრთელობა უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, ცესკო-ს ინიციატივით სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საარჩევნო ადმინისტრაცია მადლობას უხდის სამუშაო ჯგუფის წევრებს კონსტრუქციული მუშაობისთვის. ამასთან, სამუშაო ჯგუფი გააგრძელებს მუშაობას პანდემიასთან დაკავშირებული რისკჯგუფების არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, რეგულირდება არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობებში შესვლის, გამოსვლის, ყოფნის, გადაადგილების, თერმოსკრინინგის, პირბადის გამოყენების, საარჩევნო უბანზე უფლებამოსილი პირის სხვა პირით ჩანაცვლების წესები.

დადგენილება კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში სანიტარიულ-ჰიგიენური წესების შესახებ ყველასათვის ხელმისაწვდომია ცესკოს ვებგვერდზე. იმისთვის, რომ ამომრჩევლებს და არჩევნებში ჩართულ ყველა მხარეს დეტალურად მიაწოდოს ინფორმაცია, საარჩევნო ადმინისტრაცია დადგენილებით განსაზღვრული სანიტარიულ-ჰიგიენური პროცედურების შესახებ, ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას გეგმავს.

ცესკო აგრძელებს საქმიანობას პანდემიის პირობებში არჩევნების პროფესიულ დონეზე ორგანიზებისთვის და კენჭისყრის დღეს ყველასთვის უზრუნველყოფს თავისუფალ და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს“.

მარინა ეზუგბაია: საქართველო ჯერჯერობით „მწვანე ზონაში“ რჩება

საქართველო, ჯერჯერობით, „მწვანე ზონაში“ რჩება და ვნახოთ, როგორი დინამიკა იქნება, — განაცხადა ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა მარინა ეზუგბაიამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

„საბედნიეროდ, მონაცემები არ იზრდება, ჩვენ არ გადავედით 200-ზე მეტ რიცხვებში. სექტემბრიდან დაიწყო დაინფიცირებულთა რიცხვის მატება და ვმერყეობთ 152-დან 196-ს შორის, 200 არ გამხდარა. აგვისტოში კეთდებოდა დღეში დაახლოებით 7 000 ტესტი და დღეს, როგორც ვიცი, ეს რიცხვი გაორმაგებულია და ამ მონაცემებით, საქართველო ჯერჯერობით „მწვანე ზონაში“ რჩება. ვნახოთ, როგორი დინამიკა იქნება“, — განაცხადა მარინა ეზუგბაიამ.

მარინა ეზუგბაია მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწოდებს დადგენილი რეგულაციების დაცვისკენ. დღე-ღამეში საქართველოში კორონავირუსის 193 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 40 პაციენტი გამოჯანმრთელდა, ერთი კი გარდაიცვალა.

გარდაცვლილ სოხუმელ პედაგოგსაც არ სჯეროდა ავადმყოფობის...

ახალი ტიპის კორონავირუსით გამოწვეული გართულებების გამო ქუთაისის კლინიკაში სოხუმის პირველი სკოლის მასწავლებელი, 60 წლის ლუდმილა ანუა გარდაიცვალა, — ამის შესახებ გუშინ შევიტყვეთ.

ირკვევა, რომ პაციენტი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ოკუპირებული აფხაზეთიდან კრიტიკულ მდგომარეობაში გადმოიყვანეს. ექვსი დღის წინ პედაგოგი სოციალურ ქსელში წერდა, რომ მასაც არ სჯეროდა COVID-19-ის არსებობის, მაგრამ ის „ჩვენს შორის არსებობს“. ამის შემდეგ ანუას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ის ქუთაისში კრიტიკულ მდგომარეობაში გადმოიყვანეს.

სკოლაში, სადაც ლუდმილა ანუა ასწავლიდა, ორკვირიანი კარანტინი გამოაცხადეს. როგორც სკოლის დირექტორი ამბობს, 50-ზე მეტ მოსწავლეს მაღალი ტემპერატურა აღენიშნება. თბილისის ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო ხელმძღვანელის მარინა ეზუგბაიას ცნობით, ანუასთან ერთად ოკუპირებული აფხაზეთიდან სამი პაციენტი გადმოიყვანეს და სამივე მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.

ᲘᲡ რომ, ეს ე.წ. „ოპოზიცია“ საკუთარ თავში ვერანაირად ვერ ჩამოყალიბდა, მათი ყოველდღიური გამოსვლებიდანაც ჩანს, მაგრამ მათი ბელადის მიხეილ სააკაშვილის „ხტუნაობა“ უკვე გასცდა კლოუნადას და სრულ მარაზმში გადაიზარდა.

აღარ ვილაპარაკებ მის „მოვდივარ-არ მოვდივარზე“, უბრალოდ მისი გუშინდელი და გუშინწინდელი სისულელეებით მინდა გაცინოთ.

20 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილმა TV პირველის ეთერში განაცხადა, რომ ის მხოლოდ საზოგადოების კოალიციას ხედავს და პარტიულს არა. მისი თქმით „პოლიტიკური პარტიების და პარტიუკების“ საერთოდ არ სჯერა. სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე უმრავლესობას ან ნაციონალური მოძრაობა აიღებს ან საქართველო „დაიღუპება“. ამასთან, ჟურნალისტის კითხვას: „აქვს თუ არა ამომრჩეველს მხოლოდ ორი არჩევანი, თქვენ ან ბიძინა ივანიშვილი?“ — ყოფილმა პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ასეა და ეს ყველამ კარგად იცის.

სააკაშვილის ამ განცხადების პასუხად ევროპული საქართველოს ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ წაიბლუკუნა, რომ ექსპრეზიდენტს არ აინტერესებს ივანიშვილის მარცხი, თუ ერთპიროვნულად არ მოვა ხელისუფლებაში. გირჩის ლიდერმა ზურა ჯაფარიძემ კი დაგვმოძღვრა, რომ სააკაშვილს ივანიშვილის მარცხი იმაზე მეტად არ სურს, ვიდრე ძალაუფლების კვლავ ხელში ჩაგდება.

ამ კრიტიკის შემდეგ რამდენიმე საათიც არ იყო გასული, რომ სააკაშვილმა თავისი მიდგომა შეცვალა და განაცხადა, რომ ის და მისი პარტია „ინკლუზიური“ მთავრობის მომხრე არიან.

„არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიქნებით ძალიან გახსნილები, რათა ვითანამშრომლოთ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ ძალებთან და საქართველოს შემდგომი მთავრობა აუცილებლად უნდა იყოს მაქსიმალურად ფართო სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებით წარმოდგენილი და ინკლუზიური“,— დაწერა სააკაშვილმა საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

მოკლედ რომ ვთქვა, მოსვრილი უკანალის ასეთი თამაშით ცდილობენ ყოფილი პრეზიდენტი და მისი სექტა რევანშის აღებას.

საქართველოს მოსახლეობა ამ ყველაფერს უყურებს და საკმაოდ საშიში შეკითხვები უჩნდება.

ძველი რომის სამართალში რაიმე დანაშაულის გამოძიების პროცესში ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან შეკითხვას სვამდნენ — **ვის სჭირდებოდა!**

ეს შეკითხვა (ები) დღევანდელ საქართველოში საკმაოდ აქტუალურია.

— ვის სჭირდება აშკარა კრიმინალების (ბოკერვილებისა და ნაცების) საკანონმდებლო ორგანოში ყოფნა?

— ვის სჭირდება ქართული პოლიტიკური სივრცის სრული სტაგნაცია, იმ ყოვლად უსუსური და მდაბიო „პარტიების“ ტივტივით?

— ვის სჭირდება სახელისუფლებო პირამიდის სამი ფენა, სადაც პირველი და მესამე რეალურად შრომობენ, ხოლო შუა რგოლი ვითომდა „დასავლური ღირებულებების“ ეგიდით სრულიად უშლის ხელს საქმის კეთებას?

— ვის სჭირდება აშკარად დისკრედიტებული მაღალჩინოსნების გადაყვანა მოფარებულ, ოღონდ არანაკლებ თბილ ადგილას და ამით საზოგადოებაში ნიჰილიზმის განწყობის დათესვა?

— ვის სჭირდება კრიმინალური მედიის ზეობა და მათი მეშვეობით საზოგადოების დეპრესიულ განწყობაზე გადაყვანა?

— ვის სჭირდება?!

მე მზა პასუხი არ მაქვს. უბრალოდ ერთი რამ ვიცი — მსგავსი მორჩილება „ლაითი“ აპოკალიფსია და არა მხოლოდ პასუხი.

ბევრჯერ დამიწერია, რომ საქართველოში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობით ცა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

თუ აღმასრულებელი ხელისუფლება რეალურად მუშაობს და დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე მაქსიმუმს აკეთებს, პოლიტიკური ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ნერვების მომშლელი საქმიანობით არის დაკავებული, რაც ძირითადად იმ წყეულ კოჰაბიტაციასთან მხოლოდ რაღაც კომენტარებით გამოიხატება და ხელმოსაჭიდს არაფერს აკეთებს.

აღმასრულებელი ხელისუფლება კი თავისი საქმიანობით საკმაოდ ძლიერად ურტყამს ე.წ. ოპოზიციას და ხალხს გარკვეულ იმედებს აძლევს.

მაგალითისთვის პარლამენტში ნათია თურნავას გამოსვლას მოვიყვან:

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტი არ ვარ, ადვილად დავინახე, რომ ქვეყანა არა მხოლოდ რეალურად უმკლავდება პანდემიით გამოწვეულ კრიზისს (ბევრ ჩვენზე ძლიერ ქვეყანაში ვარდნა 10%-ს შეადგენს), არამედ წინსვლის გარკვეული პერსპექტივებიც არის.

ასევე, მან საკმაოდ ზუსტი პასუხები გასცა ოპონენტებს, რის შემდეგაც სხდომა დატოვეს.

მე უბრალოდ მინდა მცირე პოლიტიკური შეფასება გავაკეთო: ამ ე.წ. „ოოოოპოზიციას“, რომელიც ხალხის დაბოლებას დამპალი ბანანით, მოკბეჩილი მაფინით (ნათელაშვილის), დღევანდელი ხელისუფლების დახმარებით გაკეთებულ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საწარმოში ყელყელაობით (ვაშაძე „ჯუნიორი“), აბსურდული დაპირებებით პენსიის გაზრდასთან დაკავშირებით და რაღაც ფინანსური დახმარებების დაპირებით ცდილობენ, ურჩევნიათ, რომ ეს გამოსვლა გადაახვიონ, დააკონსპექტონ და 2024 წლამდე იმეცადინონ.

ხალხი ყველაფერს კარგად ხედავს და სწორ დასკვნას აკეთებს.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲩᲘᲫᲔ

ᲐᲛ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ!..

„ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ერთ-ერთი ლიდერი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატი გიგა ბოკერია მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ეხმიანება.

„სააკაშვილმა განაცხადა, რომ არჩევნები მხოლოდ მასსა და ივანიშვილს შორის არის, ეს არის ერთი-ერთში ივანიშვილის პროპაგანდის გზავნილი. ამ კაცის თითქმის ყველა გამოსვლა არის საჩუქარი ივანიშვილის პროპაგანდისთვის, განსაკუთრებით მერამდენედ დაანონსება ჩამოსვლის და შემდეგ გადაგდება იმ ხალხის, ვისაც დაჰპირდა ამას.

რაც მთავარია, ეს არის სიცრუე. არჩევანი არის იმათ შორის, ვისაც მხოლოდ თავისი ძალაუფლება აინტერესებს, ივანიშვილი, რომელსაც დღევანდელი ჭაობის შენარჩუნება სურს და სააკაშვილი, რომელსაც წარსულში დაბრუნება სურს და ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს შორის, რომელსაც უნდა ცვლილებები, გარდამტეხი ცვლილებები და რისი გეგმაც გვაქვს ჩვენ, „ევროპულ საქართველოს“. აი, ეს არის არჩევანი იმათ შორის, ვისაც მხოლოდ თავისი ძალაუფლება აინტერესებს და იმათ შორის, ვისაც სურს, რომ ქვეყანაში მოხდეს ცვლილებები და წინსვლა“, — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ᲪᲐᲚᲢᲕᲘᲜᲐ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ „ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲫᲛᲔᲔᲑᲡ“ ᲓᲐᲔᲠᲘᲐ!

„ᲔᲡᲐᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ“?

„ᲙᲐᲮᲐ ᲒᲔᲬᲐᲫᲘᲡ გამო ჩაშალეთ ერთიან მაჟორიტარებზე მოლაპარაკებები? გეწაძესთან შედარებით ზაზა გოროზიაც კი ბარუხ სპინოზაა“, — ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა სოციალურ ქსელში წერს და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, ხატია დეკანოიძესა და სალომე სამადაშვილს მიმართავს. უგულავა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ მიერ წარდგენილი ზესტაფონი-ბაღდათი-თერჯოლა-ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის კახა გეწაძის პლაკატს აქვეყნებს და გეწაძის კანდიდატურას აკრიტიკებს.

„ესაა თქვენი „ადგილობრივი გენერალი“? ამისთვის ჩაშალეთ ერთიან მაჟორიტარებზე მოლაპარაკებები, ამას ვერ უთხარით უარი? კახა გეწაძე - politician? თქვენ რა, ქვეყანა ჩალით გგონიათ დახურული?! ეს კაცი დღემდე რიჟას პარტნიორია, უფრო ზუსტად ხელის ბიჭი (არ მოგესმათ! იმ რიჟასი, შეთითხნილი სპეცოპერაციით ივანიშვილს ჩემი თავი რომ დააჭერინა თქვენი პარტიის დაფინანსების ბრალდებით). იყო ყველაზე სამარცხვინო გამგებელი ზესტაფონში და ოლქის სხვა რაიონებს მისი არსებობა ან არ გაუგიათ ან ამბობენ — კიდევ კარგი ეს არ იყო ჩვენი გამგებელიო! ეს პერსონა არის პოლიტიკაში „მოჩალიჩე“ ტიპაჟი, მარტო ფული და გამორჩენა რომ ადარდებს. აბა, კარგად მოიკითხეთ 2013 წლის მერე სადმე რამე ბრძოლში თუ გაუელვია. ასეთი ხალხის პოლიტიკიდან ჩამოშორება უნდა იყოს ამოცანა, არათუ მაჟორიტარად დაყენება. აი, ესაა ზუსტად ქოცობა, როცა გგონია, რომ ჯოხს ჩაარჭობ და ამომრჩეველი მაინც პარტიის ნომერს შემოხაზავს. ესაა სწორედ ამომრჩევლის აბუჩად აგდება, როცა ენმ გიგი წერეთელს რიჟას, ანუ ბიძინას კაცის კაცს უყენებს კონკურენტად და ამას ამომრჩევლის მოთხოვნად ასაღებს. კახა გეწაძესთან შედარებით ზაზა გოროზიაც კი ბარუხ სპინოზაა. ნამდვილდ გარდამტეხი ცვლილებების დროა ამ ქვეყანაში“, — წერს უგულავა სოციალურ ქსელში.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ: „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲑᲝᲓᲘᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲣᲨᲕᲔᲚᲘᲡ!

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ თავმჯდომარის თქმით, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი პოლიტიკური წარსულია.

— „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი კონკურენტი არის მისი მძიმე წარსული და ამას ვერანაირი ბოდიში ვერ უშველის, რა თქმა უნდა, ამას საზოგადოება ვერ დაივიწყებს. სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი არის პოლიტიკური წარსული. 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით შევცვალეთ მანკიერი ხელისუფლება, რომელიც ფასადური დემოკრატიის გამტარებელი იყო. ჩვენ ხელისუფლება დავუბრუნეთ ადამიანებს, შევქმენით ისეთი მმართველობა, რომელიც დემოკრატიულ ინსტიტუტებზეა დაფუძნებული და რომლის ყურადღების ცენტრშიც არის ადამიანი. შესაბამისად, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ფილიალები ერთმანეთში გაერკვევიან, თუ ვერ გაერკვევიან, არც ეგ არის პრობლემა. ძველი ოპოზიცია უკვე მიდის და ჩვენი ლიდერობით საქართველოში ახალი, მშვიდი, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა მკვიდრდება“, — განუცხადა თალაკვაძემ ჟურნალისტებს.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ!

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ღონისძიებაზე დასწრება არ ნიშნავს მხარდაჭერას. ამის შესახებ პატრიარქის მოსაყდრემ, მეუფე შიომ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, მხარდაჭერა არის მხოლოდ სიტყვიერი განცხადება. **„ეს არ ნიშნავს მხარდაჭერას. მხარდაჭერა არის სიტყვიერი განცხადება, მხარდაჭერისკენ მოწოდება“,** — განაცხადა მეუფე შიო მუჯირმა. ცნობისთვის, „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებას რამდენიმე მეუფე დაესწრო.

ვინ ვის გადაიბირებს?!

ხელისუფლებასა და ნაციონალებზე განაწყენებული ამომრჩეველი მხოლოდ არჩევნების წინ გადაწყვეტს, ხმა ვის მისცეს...

იქნება თუ არა 2020 წლის არჩევნების ბედი გადაუწყვეტელ ამომრჩეველზე დამოკიდებული და რა უნდა ქნან პოლიტიკურმა პარტიებმა იმისთვის, რომ ამ ამომრჩევლის გადაბირება შეძლონ და არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ვის აქვს შანსი, რომ ამ კატეგორიის ამომრჩევლის გულის მოგება შეძლოს? ფაქტი ერთია, საქართველოში დღეს ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის რიცხვი, სხვა არჩევნებისგან განსხვავებით, ყველაზე მაღალია.

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, როგორც წესი, არჩევნებამდე 2 კვირით ადრე ყალიბდება. ამიტომაც პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ აქვთ დრო, რომ ამ ამომრჩეველზე იმუშაონ. თუმცა მათივე აზრით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ისეთი გაურკვევლობაა, რომ ოპოზიციას საზოგადოებისთვის რაიმე ახალის თქმა გაუჭირდება. შესაბამისად, ამ ამომრჩევლის მოხიბვლა-მიმხრობის ყველაზე დიდი შანსი, მაინც „ოცნებას" აქვს.

საქართველოში გამოკითხული მოსახლეობის 59%-მა არ იცის, ვის მისცემს ხმას. მხოლოდ 27%-მა გაამჟღავნა, ხმას ვის აძლევს, ხოლო 73%-მა კონკრეტული პარტიის დასახელებისგან თავი შეიკავა.

ასეთია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები, რომელიც სატელეფონო გამოკითხვით ჩატარდა. აქვე ხაზგასმულია, რომ გამოკითხულთა 88% არჩევნებზე წასვლას აპირებს.

„ინდივიდუალური პარტიების მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება... ამ გამოკითხვისა და არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება, რადგან არჩევნების ბედი გადაუწყვეტელი ამომრჩევლის სურვილზე იქნება დამოკიდებული", — ვკითხულობთ კვლევაში.

ამ მონაცემების მიხედვით, „ქართული ოცნება" გამოკითხულთა მხოლოდ 17-მა პროცენტმა დაასახელა, „ნაციონალური მოძრაობა" კი — 5%-მა.

არჩევნებსა და მოქალაქეთა პრიორიტეტების შესახებ კვლევა NDI-ის დაკვეთით CRRC-იმ ჩაატარა. ორგანიზაციის ინფორმაციით, კვლევა წარმომადგენლობითია და 6-11 აგვისტოს შუალედში ჩატარდა. 2 045 ადამიანი წარმომადგენლობითი, მარტივი შერჩევით შეირჩა, ცდომილება კი 1-3%-ია.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ საქართველოში ამ პერიოდში გადაუწყვეტელი ამომრჩეველთა

დიდი რაოდენობა, არა მარტო წელს, არამედ ყოველი არჩევნების წინ იყო. ამიტომაც ახალი და გასაკვირი ამაში არაფერია, თუმცა სხვა წლებთან შედარებით ახლა ეს მაჩვენებელი ცოტა მომატებულია. ძაბირაძე მბობს, რომ ამომრჩეველი, ვის მისცეს ხმა, გადაწყვეტილებას ბოლო ორი კვირის განმავლობაში იღებს. მისი თქმით, შეიძლება ბევრმა იცის კიდევაც და გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ ასეთი გამოკითხვების დროს უმრავლესობა მალავს.

„ეს შეკითხვები საქართველოში ძალიან ფრთხილად დასასმელია. ჩემთვის გადაუწყვეტელი ამომრჩევლის ეს რაოდენობა გასაკვირი და მოულოდნელი არ არის. არსებული ვითარების ფონზე მესმის, რომ ეს რაოდენობა სხვა წლებთან შედარებით უფრო მეტია, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრშიც სრული განუკითხაობაა და ესეც აქედან გამომდინარეობს. განსაკუთრებული გაურკვევლობაა ოპოზიციაში და ეს გარემოებაც ამომრჩეველზე გავლენას ახდენს.

ოპოზიცია ჯერჯერობით მოსახლეობას ახალს ვერც იდეებს და ვერც ლიდერს ვერ სთავაზობს, ამიტომაც ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის რიცხვიც გაზრდილია. წამყვანი ოპოზიციური პარტიები თავის განცხადებებში თავადვე ვერ ყალიბდებიან. ერთი იძახის, რომ შეცდომები დავუშვი და მაპატიეთ, აღარ ვიზამო. ზოგი ისევ ძველი ლიდერით და ძველი სახეებით იღებს არჩევნებში მონაწილეობას. რაც შეეხება „ქართული ოცნების" მიმართ დამოკიდებულებას, აღფრთოვანებულები არ არიან, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც თვლის, რომ სხვა გზა არ აქვთ", — ამბობს ძაბირაძე.

— ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება კი ის არის, რომ „ოცნების" რეიტინგმა რომც დაიწიოს, ოპოზიციის რეიტინგი არ იზრდება, ამიტომაც ეს იმას არ ნიშნავს, ხელისუფლება ასეთ შემთხვევაში წააგებს. ოპოზიციამ რა უნდა თქვას ახლა რამდენიმე კვირაში ისეთი, რომ ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი მისკენ წავიდეს?! პირიქით, მათმა გაურკვეველმა ქცევამ და შიდა დაპირისპირებამ, მოსახლეობა კიდევ უფრო დააბნია. ეს კი მათ „ოცნებისკენ" უბიძგებს. ოპოზიციის მიმართ ნდობა იკლებს და ამ პანდემიის ფონზე ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტი შანსი ეძლევა. თუ არჩევნებამდე კორონავირუსის მართვა ხელისუფლებამ ჩაკეტვის გარეშე შეძლო, მაშინ ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის დიდი ნაწილი გადაწყვეტილებას ამ მიმართულებითაც მიიღებს", — ამბობს ძაბირაძე.



ფსიქოლოგ-ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ფიქრობს, რომ ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი ყოველთვის არის ის რესურსი, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების ფონზე პარტიების ბედი წყდება. ამიტომაც ყველა პარტიის მთავარი ამოცანა ამ ხალხის გადაბირებაა. სამწუხაროდ, ერთი და იგივე საარჩევნო კამპანია, ლოზუნგები, იდეები ამომრჩეველს აღარ აინტერესებს და ამიტომც არის, რომ 73% ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, ხმას ვის მისცემს.

„რა თქმა უნდა, ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის რაოდენობის ზრდა პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძალის არგამოჩენის მიზეზია. პოლიტიკოსები და პარტიები ახალს ვერაფერს სთავაზობენ საზოგადოებას. უფრო მეტიც, მათი ქმედებები და განცხადებები მოსახლეობაში ნიჰილიზმს და უნდობლობას იწვევს. ოპოზიციის რეიტინგი არ იზრდება და პირიქით, ერთმანეთისთვის ელექტორატის წართმევით არიან დაკავებულები. ასეთი ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე წყვეტს, ხმა ვის უნდა მისცეს.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ის ახლა საკმაოდ რთულ სიტუაციაშია. მართალია, „ოცნებამ" კორონავირუსთან ბრძოლის პირველ ეტაპზე საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა და რეიტინგის მოკრეფაც შეძლო, მაგრამ ახლა სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. ან ყველაფერი კორონავირუსთან დაკავშირებით მას დაბრალდება, ან დაამტკიცებს, რომ ვირუსის მართვა შეუძლია. აი, სწორედ, ამ ყველაფერზე იქნება დამოკიდებული, ეს ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი ვისკენ გადაიხრება. ოპოზიციას რომ ახალი აღარაფერი აქვს სათქმელი, ესეც ნათელია", — აცხადებს საყვარელიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ავღანეთის მისიის შესრულებისას მძიმედ დაჭრილი ივერი ბუაძე „მხედრული მამაცობისთვის" დაჯილდოვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში 2017 წელს მძიმედ დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე ივერი ბუაძე უწყებრივი მედლით — „მხედრული მამაცობისთვის" დააჯილდოვეს. ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, გუშინვე უფროს ლეიტენანტ ივერი ბუაძეს კაპიტნის წოდება მიენიჭა.

განათლების მინისტრი გვაიმედებს

ჩვენი სურვილია, რომ 1 ოქტომბერს შევძლოთ და დავბრუნდეთ საკლასო ოთახებში, — ამის შესახებ განათლების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა.

„ჩვენი ყველასი სურვილია, რომ 1 ოქტომბერს შევძლოთ და დავბრუნდეთ საკლასო ოთახებში, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ეს შესაძლებლობა, რადგან ბუნებრივი გარემო სასწავლო პროცესისთვის არის სწორედ სკოლაში, სასწავლო პროცესი არის საკლასო ოთახებში. შესაბამისად, ამას რომ მივაღწიოთ,ყველამ უნდა გააცნობიეროს იმის მნიშვნელობა, რომ საჭიროა რეგულაციების ზედმიწევნით დაცვა", — განაცხადა ჩხენკელმა.

ეპიდსიტუაციის გამო, 730-მდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ონლაინ რეჟიმში განახლდა. სწავლა ჩვეულ რეჟიმში 1 ოქტომბრიდან უნდა განახლდეს.

მეყინთავ-მაშველებს ხელფასი 100 პროცენტით გაეზარდათ

„განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარ სამმართველოში, შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, შეიქმნა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს განყოფილებები. მასში გაერთიანდებიან მყვინთავ-მაშველები. დეცენტრალიზაცია ხელს შეუწყობს რეაგირების ეფექტურობის გაზრდას. ასევე, მყინთავ-მაშველებს ხელფასი გაეზარდათ 100 პროცენტით", — აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

მეტროპოლიტენმა მუშაობა ჩვეულ რეჟიმში აღადგინა

თბილისის მეტრო მგზავრებს კვლავ ჩვეული რეჟიმით, დილის 6-დან ღამის 12 საათამდე მოემსახურება.

როგორც თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში აცხადებენ, დასრულებულია ენერგოუსაფრთხოების და სავენტილაციო სისტემების რეაბილიტაცია, რის გამოც მეტრო 2019 წლის 1 ივლისიდან დღემდე შემცირებული გრაფიკით, ღამის 11 საათამდე მუშაობდა.

სრულად შეიცვალა 550 კმ მოძველებული ძალოვანი სადენები და დამონტაჟდა ევროპული სტანდარტის 32 გამწიავებელი. პროექტის განსახორციელებლად აზიის განვითარების ბანკის მიერ 15 მლნ. დოლარი იყო გამოყოფილი.

ლედი გაგა და... ფარაჯანოვი

ამერიკელმა მომღერალმა ლედი გაგამ ახალი ვიდეორგოლი სერგო ფარაჯანოვის ფილმის „ბროწეულის ფერის“ მოტივებზე გადაიღო.

მომღერლის მეექვსე სტუდიურ ალბომ Chromatica-ში შესულ სიმღერა 911-ზე გადაღებული ვიდეო YouTube-ზე 18 სექტემბერს გამოქვეყნდა და არასრულ ერთ დღეში 6 მილიონზე მეტი ნახვა დააგროვა.

„ბროწეულის ფერი“ — სერგო ფარაჯანოვის 1968 წელს გადაღებული კინოფილმი, რომელიც ფედერიკო ფელინიმ, ჟან-ლიუკ გოდარმა და მიქელანჯელო ანტონიონიმ კინოს შედევრად აღიარეს. ფილმში მთავარ როლს სოფიკო ჭიაურელი ასრულებს.

მადლობა საქართველოს, რომ ჰყავს გალაკტიონი!..

ჩემო საყვარელო საქართველო, სადაც ყველა პოეტია, სადაც ყველა შეყვარებულია ან პოეზიის დიდი ტრფიალია.

მე მაშინ მივხვდი, რომ გალაკტიონ ტაბიძეზე ვარ შეყვარებული, როცა თბილისში ყოფნისას ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთ ფერდობს ქარიან ამინდში სრულიად მარტო მივუყვებოდი და ინგლისურად ხმამაღლა წარმოვთქვამდი სტრიქონებს: ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ... ენაზე რატომ არ მომადგა არც ვიტმანის, არც ვოდზვორთის და არც თავად კიტსის სიტყვები, არამედ იმ პოეტისა, რომელიც სრულიად უცნობი იყო ინგლისელი გოგონასთვის, რომელიც ავსტრალიაში იზრდებოდა და ინგლისურ ლიტერატურას ეწაფებოდა?

2010 წელს საქართველოში ერთ-ერთი ამერიკული ჰუმანიტარული კომპანიისთვის ვმსახურობდი. აი, სწორედ მაშინ წავაწყდი გალაკტიონის ლექსს ქარი ჰქრის ინგლისურ თარგმანში, რომელმაც უმალ ჯეიმს ჯოისი გამახსენა. ეს ყოველივე მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მე აღმოვაჩინე ინესა მერაბიშვილის უმშვენიერესი თარგმანები გალაკტიონის პოეზიისა და ჭეშმარიტად ვიგრძენი მისი მონათესავე სული, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიგრძენი რომ პოეტს ესმოდა ჩემი.

მე მწერალი გახლავართ და სიტყვებზე ვარ შეყვარებული. ამდენად, გალაკტიონი ჩემთვის ყველაზე ღრმა პოეტია საქართველოსი. ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, რომ, როდესაც 2020 წლის მარტში სამყაროს წყვდიადისა და გაურკვევლობის ხანა დაუდგა და ის კორონავირუსის პანდემიამ მოიცვა, მე გალაკტიონს მივმართე. მისი წინასწარმეტყველური სიტყვები ჩემთვის ნუგეშისა და იმედის მომცემად იქცა. მარტო ის რად ღირს, რომ ჩაკეტილ სივრცეში ყოფნისას ჩემს განცდებს ის ზუსტად გადმოსცემდა: ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში, უდაბურებად იქცა სოფელი. ნუ გაოცდები, რომ ასეთ დროში მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.

მადლობას ვუხდი საქართველოს იმისათვის, რომ მას ჰყავს გალაკტიონი და ჰყავს ინესა მერაბიშვილი, ქალბატონი, რომელმაც ასე დიდებულად და უტყუარად მოიტანა ჩემამდე ქართველი პოეტი.

მარტინა ნიკოლსი,
დიდი ბრიტანეთი. 17 სექტემბერი, 2020

„გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში სააკაშვილის როლი უმთავრესია, ისევე, როგორც გიგა ბოკერიასი“

„სააკაშვილი ის არაკაცია, რომელიც ციხეში ერთი საათიც ვერ ჩაჯდა“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას გურამ შარაძის შვილი რუსუდან შარაძე, რომლის შეფასებით, ექს-პრეზიდენტს საქართველოში ჩამოსვლის ეშინია და ქალებს ამოფარებულს უნდა სამეგრელოში ხალხის გაბრიყვება. როგორც შარაძე აცხადებს, გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში სააკაშვილის როლი უმთავრესია, ისევე, როგორც გიგა ბოკერიასი, ხოლო შემსრულებლები იყვნენ — შსს-ს უმაღლესი პირებიდან პატრულამდე. კერძოდ, ვანო მერაშვილი, დათა ახალაიას და მეგის ქარდავას ზონდერები.

for.ge რუსუდან შარაძეს ესაუბრა.

— მიხეილ სააკაშვილი ბოდიშს იხდის და ისევ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რამდენად გულწრფელია მისი ბოდიში და რა როლი აქვს მას გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში?

რუსუდან შარაძე: გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში სააკაშვილის როლი უმთავრესია, ისევე, როგორც გიგა ბოკერიასი. დანარჩენები — მერაბიშვილი, ახალაია და ასე შემდეგ, შემსრულებლები იყვნენ. ფიზიკურად, ყველა იერარქია იყო ჩართული, იქით — შსს-ს უმაღლესი პირებიდან პატრულამდე, აქეთ — დათა ახალაიას და მეგის ქარდავას ზონდერები. ამათთან თანაცხოვრება როგორ შეიძლება? რა ჰქვია იმას, რომ წამებაში, კაცისკვლაში მონაწილე ადამიანები არათუ ციხეში სხედან, არამედ, უმაღლეს თანამდებობებს იკავებენ, მათ შორის, ძალოვან უწყებებში?

აღარაფერს ვამბობ ბიუჯეტის ქურდებზე და ტერიტორიების გამყიდველებზე. დღეს არავისთვის უცხო აღარაა, რომ სანამ „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივ ბანდას, თავისი დანაყოფებით, „მთავარი ოპოზიცია“ ერქმევა, „ოცნება“ სულ გაიმარჯვებს. ისინი აცოცხლებენ ერთმანეთს. აი, ამიტომ არ გასამართლდა კაცისკვლაში დამნაშავე პარტია და, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილი.

ბუნებაში არ მეგულება მიხეილ სააკაშვილის მსგავსი უტიფარი და ურცხვი არსება. ის ნებისმიერ რამეს იკადრებს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. სულ ასე იყო. უკადრებლის კადრებით მოვიდა ხელისუფლებაში 2003 წელს და დღეს ხომ სულ დაკარგა თავი. ვითარების მიხედვით, ხან მართლმადიდებელი და ქართველია, ხან — კოსმოპოლიტი და მსოფლიო მოქალაქე. სინამდვილეში, არის ერთი მხდალი, ავანტიურისტი და უბრალოდ, მანიაკი მკვლელი, რომელიც დაცვით გარშემორტყმული, სხვისი დაჩაგვრით და ძალადობით „სწორდება წელში“, სხვანაირად, თავს კაცად ვერ გრძნობს. იმდენად თავხედია, რომ სიტყვა „სამართლიანობაც“ კი მიისაკუთრა და მის „აღსადგენად“ ბრუნდება საქართველოში. სააკაშვილი დამთავრებულია, მხოლოდ ციხეში თუ დაბრუნდება და შეეგუოს.

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრემიერობის კანდიდატად წარადგინა სააკაშვილი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, ამავე დროს არის ძებნილი და უმძიმეს სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული. სააკაშვილის პრემიერად დასახელება ნიშნავს, რომ ნაციონალები დესტაბილიზაციისთვის ემზადებიან?

— ემზადებიან კი არა, ამისთვის არიან დაბადებულები — არეულობისთვის, წამებისთვის, კაცისკვლისთვის... სააკაშვილი უმძიმეს დანაშაულებში არის ბრალდებული და გარკვეულ მუხლებში, მსჯავრდებულიც, მაგრამ ამდენს იმიტომ ბედავს, რომ არ გასამართლდა იმ მკვლელობებისთვის, რომლებიც ჩაიდინა. აბა, ოფიციალურად ჰქონდეს დამტკიცებული გურამ შარაძის, ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილის და ა.შ. მკვლელობების შეკვეთა, ვნახავდი, როგორ ინავარდებდა.

— ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდა გიული ალასანია, ვიცით, რომ ზუგდიდმა მხარი არ დაუჭირა სანდრა რულოვს. რატომ გიული ალასანია? რეალურად რა ჩანაფიქრია ალასანიას კანდიდატურის დასახელება?

— ზოგადად, ოჯახზე საუბარი არ მიმაჩნია მართებულად, მაგრამ არ გვანებებს ეს ე.წ. ოჯახი თავს. სააკაშვილი ის არაკაცია, რომელიც ციხეში ერთი საათიც ვერ ჩაჯდა. თვითონ საქართველოში ჩამოსვლის ეშინია და ქალებს ამოფარებულს უნდა სამეგრელოში ხალხის გაბრიყვება. არავინაა დაზღვეული, შვილი შეიძლება უღირსი და მკვლელი გამოგივიდეს, ან ქმარი შეგხვდეს ასეთი, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ოჯახი კი არა, ერთმანეთში შეკრული დანაშაულებრივი ბანდაა. აქვე არ დაგვავიწყდეს სააკაშვილის გამზრდელი ბიძაც, რომელმაც მთელ საქართველოს დედა გვაგინა.

— რაც შეეხება გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებს, რა ეტაპზეა გურამ შარაძის მკვლელობის საქმე?

— საქმე ოფიციალურად ისევ ძიებაშია. თქვენთან ბოლო ინტერვიუში მოყოლილი ამბები რომ არ გავიმეორო, შევაჯამებ — გურამ შარაძის მკვლელობა გახსნილია, ხოლო მისი ოფიციალურად გამოცხადება დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილზე, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, საერთოდ არ ჩქარობს.

— დამნაშავე რეჟიმთან კოჰაბიტაცია იყო დანაშაული, რომლის შედეგია ის, რომ ნაციონალები დღეს მოქმედ ხელისუფლებას ბრალს სდებენ იმ დანაშაულებში, რომელშიც თავად იყვნენ ჩართული?

— „კოჰაბიტაცია“ ქართულად თანაცხოვრებას ნიშნავს. ვფიქრობ, რომ პირველი ერთი წელი, სანამ სააკაშვილი ოპოზიციონერ პრეზიდენტად (გაუგონარი ამბავი!) დარჩა, ეს გარედან თავმოხვეული პროცესი იყო, ხოლო შემდგომში უკვე გადაიზარდა დანაშაულზე უარესში. ველოდებოდი კანონის აღსრულებას და დამნაშავე პარტიის პოლიტიკურ გასამართლებას, მათ შორის, მამაჩემის ავაზაკური მკვლელობისთვის. არავის სისხლი არ მწყუროდა და არ მწყურია. ნაწილობრივ, ვეთანხმებოდი კიდეც კოჰაბიტაციას.

ადამიანურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, მასობრივი რეპრესიებით სული გაძვრა ქვეყანას. ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია, მარტო პოლიტიკური მრწამსისთვის არ უნდა დაჩაგრულიყო. გულზე ხელი დავიდოთ, ყველას გვყავს თითო-ოროლა ასეთი შერეკილი, საქართველო პატარაა. ამათი „დასჯა“ ის იქნებოდა, მათ სათაყვანებელ მიშას და მის მარჯვენა ხელს — გიგა ბოკერიას ოფიციალურად დამტკიცებოდათ, რომ მანიაკი მკვლელები არიან. გერმანიაში, ჰიტლერს კიდეც რომ თანაუგრძნობდეს ვინმე, ამის ხმამაღლა თქმას ვინ გაბედავს, ვინ იკადრებს?!

თამთა ქარჩავა

გურამ გოგიაშვილი

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათერძა

გიორგი ლეონიძე საგურამოში

როგორც ივანე ლოლაშვილი იგონებს, – გოგლას სწამდა ბედისწერის, მის არსებაში რატომღაც ჩამჯდარი ყოფილა რწმენის განცდა. ერთხელ მუზეუმში დალუქული პაკეტი მიუტანიათ, შიკრიკს გოგლას უწყებაზე ხელი მოუწერია და პაკეტი ჩამოურთმევია. შიკრიკი რომ წასულა, გოგლა ზურგით შებრუნებულა, ჯერ შეუხედავს სტალინის პორტრეტისთვის, რომელიც კაბინეტში ეკიდა, მერე გაუხსნია და კითხვა დაუწყია. ივანეს უკითხავს:

– პაკეტის გახსნის დროს რატომ უყურებდით სტალინსო?

– სტალინი და გამარჯვება ერთი და იგივეა, ის ბედნიერ ფეხზეა დაბადებული და, როდესაც მას ვახსენებ სასიხარულო ამბის შესრულების წინ, ყოველთვის საქმეში ვიმარჯვებ. – მიპასუხა და წერილი თავის უჯრაში ჩადო ისე, რომ მისი შინაარსი არ გაუმხელია ჩემთვისო, – იგონებს ლოლაშვილი.

1961 წელს სულ გადაირია ხრუშჩოვი, XXI ყრილობას დაადგენინა, რომ სტალინის ცხედარი გამოეტანათ მავზოლეუმიდან. იმჟამად თვითონ ყრილობაზე არა, მაგრამ მოსკოვში ვიყავი როგორც გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი. დელეგატი იყო ჩვენი რედაქტორი დავით მჭედლიშვილი... ჩვენი დელეგაციის წევრებმა უკვე წინაღამეს იცოდნენ, რომ უთენია მალულად უნდა გამოესვენებინათ მავზოლეუმიდან სტალინის ცხედარი. ხრუშჩოვს პირდაპირ დაევალებინა მჟავანაძისთვის, გამოდი და მოითხოვე, რომ სტალინი ლენინის გვერდით არ უნდა იწვესო. თანაც სხვებთან ერთად შენც უნდა ასწიო თქვენებურის კუბოო. არ ვიცი, ამ ამბიდან თავის დაძვრენის მიზნით თუ ნერვიულობით, მჟავანაძე ავად გახდა. ცხოველურად ეჭვიანმა ხრუშჩოვმა ექიმებიც კი გაუგზავნა შესამოწმებლად. რაკი დარწმუნდა, მართლა ავად ყოფილაო, ახლა გივი ჯავახიშვილზე გადაამისამართა, რაც რამ მჟავანაძეს ჰქონდა დავალებული...

ჯავახიშვილი კედელთან იყო მიმწყვდეული, სხვა გზა არ დარჩენოდა და სამუდამოდ გაისვარა სახელი... ქართველები იმ დღეებში ხრუშჩოვთან ერთად სწყევლიდნენ გივი ჯავახიშვილსაც. მკვდარსა და ცოცხალს აღარ უტოვებდნენ, თუ ღმერთი მართლა არსებობს, გაუხმოს ის ორივე შესახმობი ხელი, რომლებითაც ბელადის კუბო გამოასვენა მავზოლეუმიდანო... ხუთი წლის მერე, 1966 წელი, რუსთაველის წლად იყო გამოცხადებული, გოგლა უკვე ვერ იყო კარგად, ჩალოგინებული წყნეთში, თავის აგარაკზე, ზერა-ქვერად გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც ემზადებოდა რუსთაველის იუბილესთვის, სიტყვაზე მუშაობდა... საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი იყო. რედაქციაში მოვუმზადეთ ვრცელი ინტერვიუ, დავით მჭედლიშვილმა დაურეკა, ჩემი მოადგილე ამოგიტანთ თქვენს ინტერვიუს და ძალიან გთხოვთ, წაიკითხოთ, ნომერში უნდა დავბეჭდოთო. მივედი (ახლა იქ, მგონი, ჩინეთის საელჩოა). დაცვამ მისაღებში ამიყვანა და, აქ მოიცადეთო, მითხრეს. გივი ჯავახიშვილი მალევე გამოვიდა, ორსავე ხელზე თეთრი ხელთათმანი ეცვა. ფეხზე წამოვდექი, მან ერთი გულგრილად გადმომხედა, დაჯექიო, თვალებით მანიშნა და მაშინვე კითხვას შეუდგა. შემოსვლისთანავე ერთი დიდი ტაბაკი წითელლოყება გორული ვაშლი მოაყოლეს. მეშველა-მეთქი, გულში გავიფიქრე. დილიდან მდღევარი ლუკმა (იმ დღეს საჭმელი) არ ჩამსვლოდა პირში და დაქიმითებული მომღიმარი ვუცქერდი წითელვაშლებიან ტაბაკს. როგორ ვიფიქრებდი, ერთ მთლიან ვაშლს თუ არა, ერთ ნაჭერს მაინც არ შემახვედრებდა ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე. თანაც ბლომად იყო, სულ ცოტა, ათი ფოროხა ვაშლი მაინც იქნებოდა. მოკლედ, წამოვედი ამ ამბით ფრიად გაკვირვებული და რედაქციაშიც გამოვხატე ჩემი გაკვირვება. არ გინდა, მაგაზე ნუ ილაპარაკებო, მჭედლიშვილმა, ხელთათმანები კი იმიტომ ეცვა, რაკი იმ ყრილობის მერე რაღაცა სატკივარი გაუჩნდა, მგონი, ქარცეცხლს ეძახიან, კარგად ვერ ხმარობსო (ვიცი, უთუოდ არ ესიამოვნება ეს თავის სიმამრზე აუგად ნათქვამი სიტყვები ჩემს ძველ მეგობარს, ჩინებულ ექიმსა და ადამიანს რამაზ ყურაშვილს, მაგრამ, რა ვქნა, ასე იყო და...).

მერე გოგლას მოვუყევი ეს ამბავი, და ხელი ჩაიქნია, მე უფრო ვაჟკაცი მეგონა ეგ კაციო, თუმცა ჯავახიშვილები თავადები არიან, გლეხი ჯუღაშვილი მაგათ სულ არ ანაღვლებთო... მე ისიც მიკვირს, იმ დარბაზში სამი ათასამდე კომუნისტი იჯდა ხმაგაკმენდილი და ერთმა ვერ გაბედა ტრიბუნაზე ასვლა და იმის თქმა, რომ სტალინის განქიქება საბედისწერო იყო როგორც საბჭოთა კავშირისთვის, ისე მთელი სოციალისტური სამყაროსთვისო. ნუთუ ვერ მიხვდნენ, რომ სახელმწიფოს ლიბო-საძირკველს თავკიდური და ბალავარი გამოაცალესო. როგორც გავიგე, ისევ კახელს, ვაზისუბნელ იაშვილს დაუპირებია გამოსვლა და თავისი საყველპურო რუსულით ხრუშჩოვთან შებმა, მაგრამ ჩვენი დელეგაციის წევრებს არ გაუშვიათ. არც გალაპარაკებენ და დაგიჭერენ კიდეცო. თუმცა იმ იაშვილს ის მაინც უქნია, რომ პროტესტის ნიშნად დარბაზიდან გამოსულაო. ვიღაც-ვიღაცები წამისუმალ იქ გაჩენილან, რად დატოვა დარბაზიო, ცუდად შეიქნა, საექიმო პუნქტში ჩავიდაო, უთქვამთ ჩვენებს, და ის ვიღაც-ვიღაცები მაინც უკან დასდევნებიან.

გოგლა ისე გახარებული არცროდის არ მინახავს, როგორც 1964 წლის ოქტომბერში ვნახე. რედაქციაში ამოვიდა ლიკა) ქავთარაძეს, რომელიც თავის დიდ პაპაზე იგონებს: მესამე თუ მეოთხე კლასში ყოფილა გოგლა უმცროსი, როდესაც ზაფხულში, წყნეთში სტუმრებიათ ბესო ჟღენტი თავის ვაჟიშვილთან, გოგლა უმცროსის თანაკლასელთან ერთად. დიდ გოგლას ორიოდე ბოთლი ღვინო და მცირე ვახშამი ეზოს ბოლოს მდგარ ტაბლასთან ჩაუტანია. ისინი მუსაიფს შესდგომიან. გოგლა უმცროსი და ბესოს გოგი იქვე დაჭიდებულან. უცებ მოესმათ თურმე გოგლას ბუხუნი. ისეთი ტემბრითა და სიმძლავრით ნათქვამი, რომ ბავშვები შემკრთალან კიდეც. გოგლა ამბობდაო: **„საწყალი მეფე ერეკლე როგორ მოატყუეს, როგორ წუხდა, ალბათ, როდესაც მიხვდა, თუ რა ხვედრი ელოდებოდა საქართველოს...“ და დასძინაო: „რა დიდი მადლი იქნება, როდესაც საქართველო გათავისუფლდება, ვინმე მივიდეს იმის საფლავთან და ჩასძახოს ეს ამბავი“**. გოგლა უმცროსს მაშინვე გადაუწყვეტია, თუკი მოესწრებოდა საქართველოს გათავისუფლებას, დიდი პაპის ეს სურვილი თვით იმის საფლავთანაც გაემეორებინა:

მინდა, ვიყიდო ქვეყნის წამლები,
რათა შევესწრო იმ დღის დანახვას,
რომ მომძახოდნენ, შთამომავლები:
– იცოცხლე, გოგლა, შენ ჩვენთანა ხარ!

არ ვიცი, ვისი აზრია, თვითონ გოგლასი თუ ვინმე სხვისი, მაგრამ გოგლას ხშირად უთქვამს, თავისუფლების მოპოვება თუ ძვირი დაგვიჯდება, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ნაყალბევს არ შემოგვაპარებენო...

გიორგი ლეონიძის სახელი, იმისივე სიტყვებით რომ



სახეგაბადრული, რახან მაგ არაკაცი და მამაძაღლი, ღორი ხრუშჩოვის გაბითურებას მოვესწარი, ახლა უკვე არა მიშავს რაო. იქნებ ჩემი პოემის მეორე ნაწილიც დავამთავროო. მაგრამ ეს ბრეჟნევიც კაი ბეყეყა ვინმე ჩანსო. აი ნახავთ, მაგათ ხელში რაც ამ ქვეყანას მოუვაო... თითქოს ენამ უყივლა გოგლას... იმდროინდელმა ამბებმა, უფრო სწორად, ბოლო ათმა წელმა მთლად შეუცვალა გოგლას მსოფლმხედველობა, არამი იყვეს მაგათზე ქართველთა ღვაწლი და ამაგიო, ხშირად ამბობდა. გოგლა აშკარად ჩუმი ქართველი ნაციონალისტი გახდა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით... ის ხომ მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს იყო მიერთებული, როგორც რომ სუნთქვის აპარატზე...

ეს ამბავი საგულისხმოდ აქვს გადმოცემული გოგლას სეხნია შვილიშვილს, ნესტანის ვაჟიშვილს გიორგი (გოგვთქვათ, საქვეყნოდ იყო „გატყორცნილი და გაჯირითებული“... ჯერ კიდევ 1923 წელს გრიგოლ რობაქიძე მთელი სიწრფოეებით წერდა „რუბიკონში“ (№4) 24 წლის გიორგი ლეონიძეზე: **„გიორგი ლეონიძეს არ ეჭირვება მიწასთან დაბრუნება. მის პოეზიაში უთუოდ არის ვაჟა-ფშაველას თესლი, ძვირია ასეთი სინოყივრე და სიუხვე. „მიწა“ მისთვის სხეულია ნამდვილი და ამისთვის „სისხლიანი“, ეს „სისხლიანობა“ ისე ღვივის მის ლექსებში, რომ იგი ხანდახან ყასაბი მგონია პოეტური ხატების... მისი „ავტოპორტრეტი“ ერთი მაგარი მედალიონთაგანია მინის ტანის მტეხელოგის. „ავდიდდი, როგორც გავასქელე ჩვენი იორი“, – ამბობს პოეტი ერთ თავის გაბედულ ლექსში. „სდგას როგორც სისხლის ტაგასტაში გამსკდარი საშო“, ეს მზეზეა ნათქვამი. ამ თქმამ ბევრი გაახელა, მე კი ვიტყვი თამამად:**

ეფემია გედევანიშვილი, პაოლო იაშვილი, ნინო მაყაშვილი-ტაბიძისა, თამარ იაშვილი და გიორგი ლეონიძე. ბათუმი, 20-იანი წლები.

ეს უძლიერესი განცდაა სისხლიანი მზის, გიორგი ლეონიძე კიდევ ბევრს იტყვის ასეთს“.

და აკი თქვა კიდეც, მერე როგორ თქვა! რამდენი ენაც იყო იმ კავშირში, იმდენ ენაზე თარგმნიდნენ გიორგი ლეონიძეს. რუსულად პირველი ოსიპ მანდელშტამი იყო, რომლისთვისაც ვაჟა-ფშაველა, გოგლას პოეტური ნათლია, ნამდვილ ქარიშხლად ამოვარდა ქართულ პოეზიაში და სწორედ ქარიშხალში, ამ კურთხეულ ზეთში, ანუ მირონში მონათლა ვაჟამ მხოლოდ ჯერ კიდევ პირველი ლექსის ნინველი ავტორიო. მერე და მერე მანდელშტამს გვერდში ამოუდგნენ პასტერნაკი, ტიხონოვი...

1960 წლის 5 იანვარს ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თვალსაჩინო რუსი პოეტი, საქართველოს გულითადი მეგობარი ნიკოლოზ ტიხონოვი სიყვარულით ლაპარაკობს:

გიორგი ლეონიძის თარგმნა 30-იანი წლების დამდეგს დავიწყე. მაშინ ჯერ კიდევ ვერ წარმომედგინა, რომ მრავალი წელი დამაკავშირებდა ამ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №115-116

შესანიშნავი პოეტის შემოქმედებასთან. განმაცვიფრა პირველივე სტრიქონების ძალამ და ცხოველმყოფადობამ, რომლებიც რუსულად ვთარგმნე. ჩემი სურვილი იყო, რომ ამ პოეტური სიმდიდრიდან არაფერი დაკარგულიყო. ლექსის წყობა და შინაარსი რუს მკითხველამდე მისულიყო. საქართველოს სახალხო პოეტის წოდება სამართლიანად დაიმსახურა. გიორგი ლეონიძის შთაგონებული ხმა ჩვენი სამშობლოს ყველა დიდ მოვლენას ეხმიანებოდა. ეხმიანებოდა იმას, რაც ადამიანებს აღელვებდათ, ხან დიდი ეპიკური პოემით, ხან ლექსად ნათქვამი ამბით, ხან სიმღერით, ხან კიდევ ყველაზე დახვეწილი და ნატიფი, სულში ჩამწვდომი ლირიკული ლექსით. მისი ფართო მასშტაბი საქვეყნოდ არის ცნობილი, მისმა პოეტურმა ტალღამ გამოხმაურება პოვა ფართო მკითხველში. მის ლექსებში მარტო მშობლიურ ქვეყანას როდი ვხედავდით. დიდი პოეტური სამყარო შევიდა მის წიგნებში, ძველი ციხესიმაგრეები და ახალმშენებლობანი, რუსთავის ჩირაღდნები და ახალი ჰიდროელექტროსადგურები, მთებში გაყვანილი გზები და საყვარელი, უკანასკნელ წლებში გარდაქმნილი თბილისი, ქართული სოფელი – ყველაფერი ეს ამაყად ჟღერს სახალხო პოეტის შთაგონებულ წიგნებში. მან დიდი და შესანიშნავი გზა განვლო. მისმა პოეზიამ დაიმსახურა ეს მაღალი აღიარება. მას უსაზღვროდ უყვარს მშობლიური ქართული ენა, ტკბება მისი განუმეორებელი ჟღერადობით, ათეული წლის მანძილზე ამ ენისგან იღებს პოეტური მეტყველების საგანძურს, რომელიც წკრიალა ხმასა და სახეთა სიუხვეს ანიჭებს მის ლექსებს. იმის გარდა, რომ ის შესანიშნავი ლექსების ავტორია, მასვე ეკუთვნის მრავალი წიგნი, გამოკვლევა ენის, ისტორიისა და ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. მისი ყველა სამეცნიერო ნაშრომი რომ გამოვცეთ, პატარა ბიბლიოთეკას დაიკავებდა. XVII, XVIII, XIX საუკუნეთა ქართულმა კლასიკურმა ლიტერატურამ მისი სახით პოვა საოცარი მცოდნე, დაუცხრომელი მკვლევარი, გონიერი მეცნიერი. პოეტური და მეცნიერული შთაგონება კარგად ერწყმის პოეტი-აკადემიკოსის სახელს... საერთოდ ტიხონოვი გოგლას თაყვანისმცემელი იყო და პატარძეულშიც ბევრი ღამე აქვს სუფრასთან გატეხილი...

ძველი დღიურიდან: მოსკოვში ვარ „პიონერის“ მივლინებით, რომლის რედაქტორი იმხანად რევაზ მარგიანია. უნდა შევხვდე სამუელ მარშაკს, შექსპირის სონეტების კონგენიალურ გამრუსულებელს. ქართველი ბავშვებისთვის გამომატანა ზღაპარი „ბუა“ („Угамон“) და მიძღვნა. ახსენა ვაჟა-ფშაველა. პასტერნაკი ცუდად არ თარგმნის, ოღონდ ფშაველა აღარ არისო. ყველას ერთნაირად არუსულებსო. ვიცი, ძალიან დიდი პოეტია ფშაველა, დიდი ხანია, ვემზადები სათარგმნელად, მაგრამ ვერა ვბედავო... მერე მკითხა, დღეს ვინ არის საქართველოში ყველაზე საუკეთესო პოეტი, ლეონიძეო? მე, რასაკვირველია, დავემოწმე (VII, 1963 წ.)

ძველი დღიურიდან: ხანისად მართლა უცნაური რამ დამთხვევები ხდება. გოგლა ერთხელ ბევრს მელაპარაკა მიხეილ დუდინზე, რომელმაც მთლიანად თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილი. პასტერნაკის სულ „ცისა ფერის“ თარგმანს მოაყოლა. იქნებ დუდინისა სჯობია კიდეცო... 1967 წელია. გოგლა ერთი წლის გარდაცვლილია. მივლინებით ვარ ლენინგრადში. ოქტომბრის რევოლუციის თუ გადატრიალების 50 წლისთავის გამო რეპორტაჟი უნდა მოვამზადო ზამთრის სასახლიდან და ავრორადან. გაჩერებული ვარ სასტუმრო „ევროპეისკაია“-ში. საღამოს სასტუმროს რესტორანში ჩავედი სავახშმოდ. ვხედავ, გვერდით მაგიდაზე დუდინი ზის მეუღლესთან ერთად. გავემცნაურე. გულწრფელად გაიხარა. ახალი დაბრუნებულია ქუთაისიდან, შთაგონებული ლაპარაკობს ნიკოლოზ ბარათაშვილზე, გენიალური შოთა რუსთაველის უშუალო მემკვიდრეაო, თავადაც გენიალური, რომელიც სუყოველი თაობის თანამედროვე იყო, არის და იქნებაო. მე იმიტომ ვთარგმნეო, რათა იმის მწვერვალიდან იმ მხრიდან გამეფანტა ღრუბლები, რომელი მხრიდანაც ის ჩრდილოეთისკენ იყურებაო და დამენახვებინა რუსულენოვანი მკითხველისთვის, რაოდენ მშვენიერია ის მწვერვალი, ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ ჰქვიაო.

მერე ჩანთიდან ცარიელი კონვერტი ამოიღო და ნაუსტარზე ეგრევე ლექსი წამიწერა:

„Москва – Тбилиси родны Брат,
Светлы их дружбы выси.
Провинциальный Ленинград
Родниться с Кутаиси!“

ძალიან ნასიამოვნები დარჩა გოგლას შეფასებით. წუხდა, გასვენებას ვერ დავესწარიო, მაგრამ აუცილებლად ჩამოვალ თბილისში და მთაწმინდაზე ერთად მოვინახულებ ბარათაშვილისა და ლეონიძის საფლავებსო...

ბევრი, ძალიან ბევრი წერდა მთელ კავშირში გიორგი ლეონიძეზე, ეს ყველაფერი რომ ერთად შეიკრიბოს, ალბათ, ერთ კარგა მოზრდილ ტომშიც არ ჩაეტევა. ის კი არა, დღემდე ვერ მოხერხდა თვითონ გოგლას ნაამაგარი ლიტერატორის ინსტიტუტის მიერ გიორგი ლეონიძის თხზულებათა სრული მრავალტომეულის აკადემიური გამოცემა, რასაც ყველაფერთან ერთად ხელს უშლის, ჩემი აზრით, პოეტის ოჯახის ზოგიერთი წევრის მიერ გოგლას მემკვიდრეობის უთუოდ ანგარების მიზნით დაჩემება. თუ არა ნესტანი თავის ვაჟთან გოგლიკოსთან ერთად, რა კრებულებიც არის გამოცემული, მგონი, ისინიც არ გამოიცემოდა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ქრისტიანული პოეზიის საიუბილეო X ფესტივალი

„წმინდა ნინოს ჯვარი“

გამოვლინდნენ ახალი ლაურეატები

15 სექტემბერს გაიმართა ქრისტიანული პოეზიის X საიუბილეო ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

ფესტივალი დააფინანსა თბილისის მერიამ.

საორგანიზაციო კომიტეტმა, წლევანდელი წლიდან, გადაწყვიტა წარმოაჩინონ ადამიანები, რომლებიც უხმაუროდ იღვწიან და საკმაო დამსახურება აქვთ ქართული კულტურის წინაშე. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ქალბატონმა **ლია დაუშვილმა** ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა **ირაკლი აზიკური.**

ფესტივალის ჟიურიმ: **ზაალ ბოტკოველი** (თავმჯდომარე), **მამა ილია ჩიკვაიძე, ვანო ჩხიკვაძე, გივი ჩიღვინაძე,** ფესტივალის მთავარი პრიზი „წმინდა ნინოს ჯვარი“ მიაკუთვნეს **ავთანდილ ყურაშვილს და ელდარ ჭიჭიაშვილს.**



ვანო ჩხიკვაძე, ზაალ ბოტკოველი, ავთანდილ ყურაშვილი.

ფესტივალის პრიზი „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ გადაეცათ: **ალნაზი დათუკიშვილს, ზურაგ ჭიოკაძეს, მამა გიორგი გოგოლაშვილს, კესარია აბაშიძეს.**

ფესტივალის პრიზით „წმინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვდნენ: **ნათია გრძელიშვილი, თამარ შაიშმელაშვილი, ანა (ქალთამზე) სურმანიძე, მაკა გელაშვილი, ივეტა პავლიაშვილი, თიკა გელაშვილი, როზა (მარიამ) ქაშაკაშვილი, ლალი მიქაია, თამარ მეტრეველი, მაგდა გოშნიაშვილი.**

აქვე გთავაზობთ ფესტივალის ორი გამარჯვებული ავტორის ლექსს.

ამბავი მოგვთაგან ყრმა იესოს პოვნისა

(ფრაგმენტი)

8.

ის, ამ მიწაზე, ამათ შორის,
არავის ჰგავდა,
მას სიყვარულის უსასრულო
გზები გაჰყავდა...
ისმოდა შორი გალობანი
და ჭილოფებში
იორდანეს წყალს
იპკურებდა იესო პეშვით...
მაღალი ციდან
უფლის თვალი დააშტერდება.
აჰა, მიიხმობს ძეს თავისას,
ასწია ხელი...
სხვა გზა არ არის,
ეს გზა სხვაგან არსად ჩერდება,
გადაიაროს
უნდა ჯვარის ულტობი ძელი.
მან აღსასრული იცის, მოვა,
უნდა მოვიდეს,
განშორების ჟამს
მისგან თქმული ეს იყო ლოცვა:
ვინც მეძიებდეს,
გულით ვუნდე, მუდამ მპოვიდეს
და ერთნაირად
უურვებდეს სულსა და ხორცსა...
ის, ამ მიწაზე,
ამათ შორის არავის ჰგავდა,
მან სიყვარულის
უსასრულო გზები გაწალდა...

9

და სხვაგან არსად წასულა,
ის ჩვენთან, ჩვენში დარჩა,
აწმყოდ, მომავლად, წარსულად...
ის სხვაგან არსად წასულა;
მერე რა, თვალით ვერ ხედავ,
მერე რა, თვალით არ ჩანს,
ის სხვაგან არსად წასულა,
ის ჩვენთან, ჩვენში დარჩა..
მადლსა გვძღვნის, არც როს გვივიწყებს,
სულს უდგამს ურწყულ ქვასაც...
ის ჩვენგან არსად წასულა,
არსად წასულა, არსად!
ვუყვარვართ, მართლა ვუყვარვართ,
ყველა, ვის სწამს და არ სწამს,
ცოდვილთა შორის ცოდვილი
მეც! უკადრი რომ დამცდა.
მიწყივ სურს ჩვენი მკვიდრობა
მიწაზე, ცასთან ახლოს –
სულიწმიდაში, მამაში,
ძესა და სინანულში...
ამ ჩვენს დახატულ მამულში,
ჩემო ლამაზო ხალხო,
ვზრდიდეთ პატარა იესოს,
ვზრდიდეთ პატარა იესოს,
ვზრდიდეთ და ვზრდიდეთ გულში.

ავთანდილ ყურაშვილი.

აწვიმს ბერციხეს

აწვიმს ბერციხეს, ალბათ ზეცაში
ისევ ცრემლობენ ანგელოზები!
უფალო ჩემო, მოვსულვარ შენთან,
შენს სასოებას ლოცვით მოვები!
ჩამომეჟამა სულის ტრამალი,
რით რა ვუწამლო ბნელსა და ხრიოკს,
ვუცდი განთიადს, ბროლის მკერდიდან
თალხი საკინძე ჩამოიხიოს!
ვეღარ ინათა, ცის ამბიონზე,
ისევ ცრემლებით იწყება დილა,
მზე, ვით ხოხობი, ფრთამოტეხილი,
უცხო მხარეში ჩამოვარდნილა!
წამისად მომწვდა მონატრებული,
თაკარა სხივთა უცხო სილაღე,
ის, რაც ბორგავდა სისხლის დუღილში,
დამისხლტა, გულში ვერ შევინახე,
და ახლა დადის კლდე-კლდე, წყალ
და წყალ
და ნანგრევებში დაეხეტება,
მიდის მიაპობს ნისლის უდაბნოს,
უკან მოხედვაც არ ემეტება,
ხან არწივების ჭვრეტს გადმოსახედს,
ხან ვეფხვთა ბუნაგს შეეფეთება,
და ძველთუძველეს სისხლის ყივილში
ჰყეფს რკინისმკვეთელ ხმალთა კვესება!
მის ფეხთა ხმაზე დაგმანულ კარებს
აყურადებენ სარკოფაგები,
საუფლო სანთლად მოჩანს ტაძარი,
ჩემი სისხლით და ძვლებით ნაგები!
ის კი, სამოთხის ბჭეთა მჭედელი,
ცხრა მთა, ცხრა ზღვათა გულში
დამტევი,
დაეხეტება გვირგვინაყრილი,
ხელში მტრის სისხლით ნაწრთობ
სატევრით.
მტრით ნამუსრევი ბჭენი ლავიწის,
ამოუკემსავთ სამოთხის ჩიტებს,
სისხლი მოჟონავს გულის ლუსკუმას,
რომელიც ამდენ წამებას იტევს!
დამხობილი ვარ მის ნატერფალზე,
როგორც ქადაგი, ვინმე ბოგანო,
ვემუდარები, უკან მობრუნდეს,
რომ ჭრილობიდან სისხლი მოვბანო,
თუ მობრუნდა და კვლავ ნათლისღებად
შენ გყოს ემბაზად, ნაგვემო გულო.
სხვა რა ვინატრო უფლის წყალობად,
რომ ვეწამლო და მივესალბუნო?
და თუ მზემ ისევ გაშალა ფრთები,
და ცა სმარავდე კვლავ მეცარგვალა,
ჩემი ცხოვრების დარჩენილ დღეებს
ამიერიდან დავწერ სხვაგვარად!

ელდარ ჭიჭიაშვილი

სინათლის კედელთა საძიებლად...

ხიბლი პირველი რომანისა...

ჩემთვის მეტად სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდებოდა ზაზა გაბუნიას „მონოლოგი სარწეველა სავარძლიდან“.

უდავოდ წარმატებული დებიუტი რომანისტიკაში.

და ბუნებრივია და ნიშანდობლივი, გამომცემლობა „ინტელექტი“ რომ ამოუდგებოდა გვერდით.

მარჯვედ მოძებნილი ფორმა, კარგად გააზრებული და მტკიცედ შეკრული კომპოზიციური ქარგა, გამოკვეთილი ხასიათები, დინამიური, მძაფრი სიუჟეტი, იდუმალებითაც განმსჭვალული და ღრმად გააზრებული და მახვილგონივრული ფინალით დაგვირგვინებული.

საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობის დრამატიზმით აღსავსე სურათებს – ამაო ტრიალს ევროპის სახელმწიფოთა კარზე – კიდეც უნდა მოჰყვეს ხელმეორე ოკუპაცია და მეტად მძიმე და პირქუში სცენები, ის გაუსაძლისი ყოფა, საკონცენტრაციო ბანაკად გადაქცეულ ქვეყანას რომ შეჰყურებ და ველარც გაგირკვევია, სად სჯობს არსებობა – პატარა კონცლაგერში თუ დიდ კონცლაგერში, მთელს საბჭოეთს რომ გადაწვდება.

მთელი რომანი არის დაუმცხრალი ძიება იმ სინათლის კედლებისა, სამყაროს რომ აკლია.

მის ნაცვლად კი თვალში გეჩხირება ყრუ და ნაცრისფერი კედლები, დაშორიშორების, ბარიკადად აღმართვის, გათიშვისა და შემოსაზღვრისათვის გამოყენებული. და სინათლის ის კედლები მხოლოდ მაშინ უნდა გაცხადდეს გმირის – ტრაგიკული ბიოგრაფიის თათია ანდრონიკაშვილის – თვალთახედვაში მთელი სისავსით, მხედველობას რომ დაუშრეტენ.

მწვავე სცენებსა და სურათებში იჭრება ლირიკული პასაჟები, საბოლოოდ ლირიკულ ნაკადსაც რომ ჰქმნის და ერთგვარად აშოშმინებს მკითხველის აფორიაქებულ სულს – ამდენი უბედურების განმცდელს, საქართველომ რაც გადაიტანა XX საუკუნის პირველ ნახევარში და ასე ხელშესახებად, გულისშემძვრელად და შთამბეჭდავადაა წარმოჩენილი რომანში.

თხრობაში ძალზე ფაქიზად შემოდის გამოჩენილ მხატვართა ნახატების აღწერილობანიც, ორიოდე მონასმით უშუალოდ რომ ეხმიანება პერსონაჟთა განწყობილებებსა თუ სცენებს და თანდათან თავისებურ მოზაიკადაც გამოიკვეთება, ინტელექტუალური პროზისთვის ნიშანდობლივ პასაჟებად.

მთხრობელი რომ ესწრაფვის აღადგინოს კავშირი მსხვერპლთა, ნივთებს, სახელებს, სახეებსა და მეგობრებს შორის, ეს კავშირი სახიერადაა აღდგენილი ზაზა გაბუნიას ამ არაორდინარულ რომანში „მონოლოგი სარწეველა სავარძლიდან“, სინათლის კედლებით შემორკალულში.

* * *

დღეს, როდესაც „ინტელექტი“ წარადგენს ამ რომანს, არის გამორჩეული დღე არამარტო ერთი კაცის ბიოგრაფიაში, არამედ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და ეს არის სწორედაც მთავარი. და მაიმედებს ხილვა იმისა, რომ ამ წიგნის გამოჩენას სიხარულით შეეგებნენ ამ ჟანრში წარმატებული მწერლები ახალი ტალღისა: **ნინო სადღობელაშვილი, გურამ მეგრელიშვილი და ზვიად კვარაცხელია**.

ეს არის უდავოდ გამორჩეული რომანი და ვერ დაიჯერებს ადამიანი, ვინც წაიკითხავს „მონოლოგს სარწეველა სავარძლიდან“, რომ ეს მხოლოდ დებიუტია, პირველი რომანი. არადა, მართლაც დებიუტია, რომელსაც ეტყობა საკმაო გამოცდილება, შინაგანი დუღილი წლების მანძილზე, ფართო განათლება, ისტორიის ძალიან კარგი ცოდნა და ეს ყველაფერი შთამბეჭდავ მხატვრულ ქარგაშია მოქცეული.

სახიფათოა ხოლმე, როცა რომანს კიდებენ ხელს დრამატულ ეპოქაზე რომ არ გადაწონოს თხრობის ოსტატობა ამბებმა, და აქ მხატვრული ფორმა არის სწორედ მთავარი და ქარგა მარჯვედ მიგნებული.

ამ რომანში საკმაო მონაკვეთი რომ ეძღვნება დამოუკიდებლობის წლებს, კიდევ უფრო მეტი შემდგომ 20-იანს და 30-იანს.

რომანში აღწერილია ის ამბები, ის შიში, ის ტერორი, რომელიც იმჟამად ხდებოდა. აღწერილია, თუ როგორ გადადის განწყობილება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოგების ეიფორიიდან, სიხარულის ეიფორიიდან დრამატიზმსა და ტრაგიზმში, როგორ ეცემა ერთბაშად ასე ამაღლებული განწყობილება.

პერსონაჟთა ხასიათები არის შესანიშნავად გამოკვეთილი, ორიგინალურად ჩაფიქრებული, და ფორმა, როგორც ითქვა, ძალიან მარჯვედ და კარგად მოძებნილი.

დეტექტიური ყაიდისაა თხრობა, იდუმალებით მოცული და დამუხტული და ბოლო წუთამდე ელი, თუ როგორ უნდა გაიხსნას და... ეს ძალიან ეფექტურად ხდება.

საერთოდ დასასრულის მოძებნა ძალიან ძნელია ხოლმე, ყოველთვის ვერ ახერხებენ რომანისტები, რომ ფინალი იყოს ისეთივე ძლიერი, როგორც მანამდელი თხრობა. აქ კი ძალიან არის აწეული გარეგნული ფორმა, სიმძაფრე, ექსპრესია, პათეტიკას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ სწორედაც ექსპრესიას, და ამით უფრო სახიფათოა, როგორ მოხერხდება შესაფერისი ფინალი და... იცოდა წინასწარ ზაზა გაბუნიამ, რომ ფინალს დააგვირგვინებდა ისე, როგორც გვირგვინდება.

არის ხოლმე საფრთხე, რომ სენტიმენტალობაში არ გადავიდეს ლირიზმი, არის საფრთხე, რომ დრამატიზმი ცოტა ზედმეტ განცდებში და უკვე ისეთ განცდებში არ გადავიდეს, რაც აკნინებს მხატვრულობას; რომ არამარტო დრამატიზმით იყოს სავსე რომანი, არამედ ლირიზმითაც – გასაწონასწორებლად. აქ კი ძალიან ფაქიზი ლირიზმი შემოდის და ზაზა გაბუნია ახერხებს მათ მარჯვე ურთიერთმონაცვლეობას.

ერთ რამესაც მივაქციე ყურადღება – ნახატები რომ არის აღწერილი. თავიდან ფიქრობ, ერთი-ორი ნახატის დახასიათება იქნებაო, და მერე აღმოჩნდება, რომ ნახატების აღწერა არის გარკვეული ნაკადი ამ რომანში, რომელიც ხელს უწყობს არამარტო პეიზაჟის დახატვასა და ხასიათების გამოკვეთას, არამედ განწყობილებათა გამოვლენას მთლიან ნაკადად.

ძალზე რთულია, რომ ეპიკური თხრობისას არსად გაგიწყდეს ძაფი და... კიდეც ახერხებს ზაზა გაბუნია, რომ მთლიანობაში მოაქციოს და დაიმორჩილოს ძალიან მძიმე და ძნელი მასალა.

ფირფიტა ბნელში

წარმატებული დებიუტი

ძველ ფირფიტას წარმოიდგენთ, რომელიც სიბნელეში უკრავს და არავინ უსმენს, ის კი ტრიალებს და ტრიალებს?

მაინც რას შევადარებდით?

ერთი რომანის პერსონაჟისთვის კი ასეთია ჩვენი საყვარელი დედამიწა, ძველი, მიგდებული სათამაშო. ღმერთმა ჩვენს შემდეგ მილიონი ახალი ცივილიზაცია რომ შექმნა, ჩვენ აღარ ვაინტერესებთ და ჩვენი არც გადარჩენა სურს, არც განადგურება.

აბა თავს როგორღა ვინარჩუნებთ?

თურმე რამდენიმე ანგელოზს ვეცოდებით და გვეხმარებიან, მათი დახმარება კი იმით გამოიხატება, რომ... ტყუილებში გვაცხოვრებენ, რათა სიცოცხლეზე ხელი არ ავიღოთ... თუმც ყველა რეალობას ხომ თავისი ზღვარი აქვს, ვადის გასვლის თარიღი, რაც კაცობრიობასაც დაუდგება და... კიდეც გაქრება – არანაირი სამოთხე, არანაირი ჯოჯოხეთი, ანგელოზები კი სხვა პლანეტაზე გადაინაცვლებენ და იქ განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას.

და... კაცობრიობა ვიღას ემახსოვრება?

თუმც... არის კი დასამახსოვრებელი?

მეორე პერსონაჟის თვალშიც:

ადამიანებმა დავამტკიცეთ, რომ გადარჩენას არ ვიმსახურებდით. ზეარსებებმა ახალი სამყარო შექმნეს და იქ ჩვენს გარეშე გადაბარგდნენ. დედამიწა კი მართლაც სხვა არაფერია, თუ არა ღმერთების მიერ მიტოვებული სათამაშო, ჯერაც მედგრად რომ დგას არასახარბიელო მომავლის წინაშე.

და შედარებით პრიმიტიული რასის, კაცობრიობის ბედის გადაწყვეტა კოსმიური თეთრი საძმოს მოვალეობად რომ ქცეულა, მზად არიან დედამიწაზე თავიანთი ნაწყვეტები გამოგზავნონ, ადამიანთა სხეულებში ჩასახლდნენ და კაცობრიობას ასე შემოეშველონ, თორემ კაცობრიობა გამოცდის ჩამბარებელი არ არის და განადგურებასაც ვერ აიცილებს.

ასე მოდიან დედამიწაზე ის ნაწყვეტები, რომელთაც და-ძმის დეა და გიორგი კვაშილავების სახე უნდა შეიძინონ და სცადონ აღსრულება თავიანთი ზეციური დავალებისა, და მათი – უმთავრესად კი დეას – კვეთება მკაცრ ბედისწერასთან წარმოდგება მძაფრ სიუჟეტურ ქარგად **მართა ურუშაძის სადებიუტო რომანისა „მეხამრიდი“** („ინტელექტი“, 2019), ერთ გრძელ კოშმარულ სიზმრად რომ წარმოგვიდგება, დასახლებულად ყოველგვარი საზარელი არსებითაც და პერსონაჟთა უჩვეულო სახეცვალებებითაც, თუნდ მთავარი გმირი თავისი სხეულიდან არაერთხელ რომ უნდა გამოვიდეს და ჯოჯოხეთში ჩაშვებასაც არ მოერიდოს, რადგანაც დაუბეჯითებენ, რომ ეს მისი რჩეულობის გამოცდის აუცილებელი ეტაპია, და სამოთხეში ისე ვერ ააღწევს, თუ ჯოჯოხეთი არ გამოიარა.

უჩვეულო ენერგიის წყალობით ჯერ ტბა უნდა გაწმინდოს.

მერე თბილისსაც უნდა უშველოს.

და თუმც გაქრობა მოელის ანუ წინანდელ გარსში დაბრუნება და ადამიანობასთან გამოთხოვება, უკვალოდ მაინც არ ჩაივლის მისი განწირული სულისკვეთება და გზა უვალი მისგან თელილი მაინც დარჩება.

ავტორის დაუშრეტელი ფანტაზიისა და ამბების სიმძაფრის, ფანტასმაგორიული სცენების ფოიერვერკის წყალობით რომანი სულმოუთქმელად იკითხება, ყოფითი სცენები ერთბაშად და წამდაუწუმ რომ უნდა მოექცეს კოშმარული სიზმრის ბურანში და მკითხველიც ჩაითრიოს იმ თავდაუზოგავ ბრძოლაში გარემომცველ სინამდვილესთანაც და თავის თავთანაც, რაც დეა კვაშილავას ამქვეყნიური ცხოვრების მიზანია, ის ამაღლებული მისწრაფება, მსხვერპლად თვითგაღებით რაც უნდა აღასრულოს.

თავისებური ლიტერატურული არქეტიპი ამ პერსონაჟისა გალაქტიონ მთვარაძეა, ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მარადისობის კანონი“, ხოლო ყოფითი სინამდვილიდან არქეტიპად წარმოდგება ვალიკო ჟვანია, მარტოდმარტო რომ უნდა შერკინებოდა იმპერიალისტურ ურჩხულს, რაკიღა სწამდა, რომ სხვა პლანეტიდან მოვლენილიყო, იმ გედის ნისლეულიდან, სადაც გადაწყვეტილიყო მისი ამქვეყნიური მისია – თვითშეწირვით საზოგადოების გამოფხიზლება.

მართა ურუშაძის „მეხამრიდი“, თანამედროვე ზღაპრისა თუ ჯადოსნური რეალიზმის ეს ჩინებული ნიმუში, ნოყიერი მასალა აღმოჩნდება ელგუჯა თავბერიძისათვის, რომელიც საგანგებოდ შეისწავლის კუდიანთა, ეშმაკეულთა, მაჯლაჯუნათა, მოჩვენებათა, მეორედ მოსვლის, უცხოპლანეტელთა თემას ქართულ მწერლობაში, XIX საუკუნე ამ მხრივ უკვე რომ მოაქცია მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში „ეჭვის პერანგი“ და ახლა XX საუკუნისა და ჩვენი ასწლეულის ლიტერატურას ამუშავებს; მასალა არ აკლია, მაგრამ „მეხამრიდი“ მაინც უხვად მოამარაგებს, უკვე ბუნებრივად რომ ჩართულა ჩვენი ლიტერატურის მდინარებაში.

ჩაამთავრებ რომანს და ძალდაუტანებლად წამოგიტივტივდება პლატონის შეხედულება ჩვენს სამყაროზე, ისევე რომ ვართ სხვა, ნამდვილი სამყაროს ანარეკლები, როგორც გამოქვაბულში დანთებული ცეცხლი იწვევს მის გარშემო შემომსხდარ ადამიანთა აჩრდილების თამაშს კედლებზე.

ეს აჩრდილებია კაცობრიობა, იდუმალი ლტოლვითა და მთელი არსებით იმ დაკარგულ პირველსამშობლოს რომ მიელტვის, იმ უჩვეულო გარსში მოქცევას, ჩვენი ნამდვილი სხეული რაც არის.

მანამდე კი ვკმარობთ ანარეკლებად თამაშს გამოქვაბულის კედლებზე, ბუნდოვნად – ან ბუნდოვნადაც აღარ – რომ გვახსოვს ჩვენი პირველქმნილი რაობა.

Ე.Წ. ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲕᲓᲐᲜᲖᲔ

20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲨᲘ ᲔᲒᲠᲔᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲚᲣᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ.

ამ დღეს ოკუპირებული რეგიონის დედაქალაქში სტუმრები თვითაღიარებული აფხაზეთის, დონეცკის და ლუგანსკის რესპუბლიკებიდან ჩავიდნენ. სამხედრო აღლუმში კი რუსეთის ფედერაციის, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შეიარაღებული ძალები მონაწილეობდნენ. — ინფორმაციას ოსური მედია ავრცელებს. დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას და სტუმრებს სიტყვით მიმართა. მისი თქმით, სამხრეთ ოსეთისთვის ეს არის ისტორიული თარიღი.

„დღეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან 30 წელი შესრულდა. 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა დადგენილება და დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად“, — განაცხადა **ანატოლი ბიბილოვმა.**

ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ 30 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ?

1990 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ, ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ �წᲘᲜᲐ �პᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲝᲡᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲫᲐᲑᲐ.

20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მე-20 მოწვევის XIV სესიამ მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ საბჭოს არ ჰქონდა მსგავსი გადაწყვეტილების მიღების სათანადო კომპეტენცია, შესაბამისად აღნიშნული ქმედება იყო ცალმხრივი და ეწინააღმდეგებოდა სსრკ კონსტიტუციას. 1990 წლის 21 სექტემბერს მიღებული დადგენილება გააუქმა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა. 16 ოქტომბერს ცხინვალში მოიწვიეს ავტონომიური ოლქის საბჭოს მე-15 სესია, რომელმაც კვლავაც დაადასტურა გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“, გარდა ამისა, მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 2 დეკემბერს.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ასევე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები. ამასთანავე, ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები. დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი, რის შემდეგადაც საქართველოს ხელმძღვანელობამ ცხინვალისა და ჯავის რაიონებში გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და გააგზავნა შსს კურსანტი თანამშრომლები. ოსურ სეპარატისტულ მოძრაობას იარაღით რუსეთის სამხედრო ბაზებიდან ამარაგებდნენ. 1991 წლის 4 იანვარს სეპარატისტებმა სცემეს ქართველი პოლიციელი და პოლიციის განყოფილებას მოსთხოვეს იარაღის ჩაბარება 24 საათის განმავლობაში. 5 იანვარს საღამოს ცხინვალში შევიდა საქართველოს იმდროინდელი შსს 3 000-კაციანი ჯგუფი, რომელმაც სეპარატისტების შეიარაღებულ ფორმირებებს მისცა 24-საათიანი ვადა იარაღის დასაყრელად.

6 იანვარს ცხინვალში დაახლოებით შუადღის 4 საათზე ოსებმა საქართველოს მაშინდელ მილიციას ცეცხლი გაუხსნეს და ცხინვალის და ჯავის რაიონში დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება. ქართული მილიცია ძირითადად აკონტროლებდა ცხინვალის ცენტრს და შემოგარენში არსებულ ქართულ სოფლებს. ქართულმა მილიციამაც ნელ-ნელა დაიწყო ცხინვალიდან გამოსვლა, რადგან მათ მხოლოდ ქალაქის ცენტრის რამდენიმე შენობა ეჭირათ, ქართული მოსახლეობა კი უკვე გასული იყო ქალაქიდან, პოზიციების შენარჩუნება კი არახელსაყრელი იყო, რადგან ყველა მხრიდან ცეცხლში იყვნენ მოქცეულნი.

კონფლიქტი წლების განმავლობაში ცხელ ფაზაში გადადიოდა, რუსეთიდან კი იარაღის შეტანის გარდა, ადგილობრივი მოსახლეობის პასპორტიზაცია დაიწყო. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

ᲔᲒᲠᲔᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲔᲑᲘ

30 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ცხინვალში დაწყებული სეპარატისტული მოძრაობის „ადამონ ნიხასის“ მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ოსი ხალხი თვითგამორკვევის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებით სარგებლობდა. მას შემდეგ ამ უფლებაზე აქცენტს დე ფაქტო რესპუბლიკის ყველა ხელმძღვანელი აკეთებდა, მაგრამ 90-იანი წლების კონფლიქტიდან დღემდე, ოკუპირებულ რეგიონში არაერთხელ ჩატარდა ე.წ. რეფერენდუმი რუსეთთან შეერთების საკითხით. პირველი — 1992 წელს, ხოლო მეორე — 2006 წელს. რუსეთთან მიერთების სურვილით ე. წ. სამხრეთ ოსეთში კიდევ ერთი, რიგით მესამე, რეფერენდუმის ჩატარებაზე ლაპარაკი 2014 წლის დასაწყისში პოლიტიკური პარტია „ედინაია ოსეტიას“ თაოსნობით დაიწყო და, უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ამ ლაპარაკმა გარკვეული აქტუალურობა მართლაც შეიძინა. თუმცა მაშინ ამას მოსკოვის მხრიდან აქტიური შემხვედრი ნაბიჯები არ მოჰყოლია. ამჟამინდელი დე ფაქტო პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის მთავარი საარჩევნო დაპირებაც რუსეთთან შეერთებაა. ამრიგად, ორჯერ, 1992 და 2006 წლებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარებული ეგრეთ წოდებული რეფერენდუმის მიხედვით, თავად ოსებმა რუსეთთან შეერთების სურვილი გამოთქვეს და ამით საკუთარ დამოუკიდებლობაზე უარი თქვეს. ამიტომ ოკუპირებული რეგიონი სრულ სამართლებრივ აბსურდში ცხოვრობს და ამ ე.წ. დამოუკიდებლობას ცივილიზებული მსოფლიო არ აღიარებს.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲡ ᲑᲘᲑᲘᲚᲝᲕᲡ, ᲐᲠ ᲩᲐᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲐᲦᲚᲣᲛᲘ?

„ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ბიბილოვი სხვებს რეგულაციების დაცვისკენ მოუწოდებს, თვითონ კი მასშტაბურ აღლუმს ატარებს. რუსეთთან საზღვარს ხსნის და აფხაზეთიდან, სადაც ასევე ყოველდღე ფიქსირდება ახალი კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევები, შეიარაღებული დანაყოფი შემოჰყავს ჩვენს აღლუმში მონაწილეობის მისაღებად და ამით ოსურ საზოგადოებას საფრთხის წინაშე აყენებს. მით უმეტეს ჩვენი ამორტიზებული ჯანდაცვის სისტემის პირობებში. მაშინაც, როცა ჩაკეტილები ვიყავით, რუსეთის სამხედრო ბაზის თანამშრომლები და ოფიცრები მიმოდიოდნენ საზღვარზე დაუბრკოლებლად, მიდიოდნენ რუსეთში და უკან ბრუნდებოდნენ და არანაირ საკარანტინო ზომებს არ ემორჩილებოდნენ, მაშინ როცა ჩვენი მოქალაქეები ყველაფერს იჭირვებდნენ საკუთარი ჯანმრთელობის გადასარჩენად. მას (ბიბილოვს) პოლიტიკური კრიზისი აქვს და ცდილობს, ათასი ხერხით გადაფაროს ეს. ხალხი კი უფრო ბრაზდება.“ — ეუბნება რადიო თავისუფლებას ცხინვალელი სამოქალაქო აქტივისტი, რომლის ვინაობას მისივე უსაფრთხოების მიზნით არ ვასახელებთ.

აღლუმამდე ორი დღით ადრე კი ანატოლი ბიბილოვს საზოგადოების წარმომადგენლებმა წერილობით მიმართეს და ცხინვალის იზოლატორში ცემით მოკლული ინალ ჯაბიევის ორმოცამდე ყველა სადღესასწაულო ღონისძიების გადადებისკენ მოუწოდეს. მიმართვის ტექსტს ცხინვალელი პოლიტოლოგი დინა ალბოროვა სოციალურ ქსელ ფეისბუკში ავრცელებს. განცხადების ტექსტში წერია:

„რესპუბლიკისთვის ამ სამგლოვიარო დღეებში, ამ უსამართლობაში, ჩვენ არ გვინდა არც დღესასწაულები, არც აღლუმები. არ განვიცდით მცირე სურვილსაც კი ვიმხიარულოთ ღირსშესანიშნავი თარიღებით, როცა სამართალდამცავების ხელით კვდებიან და წამებას განიცდიან ჩვენი უდანაშაულო შვილები. ჩვენ იგნორირებას ვუკეთებთ თქვენს კონცერტებს, ჩაატარეთ ისინი თქვენთვის და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულებისთვის, რომლებსაც შეგიძლიათ დაავალოთ, რომ გამოცხადდნენ ამ ღონისძიებებზე.“ — განცხადებას ხელს აწერს 62 ცხინვალელი.

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება, ე.წ სადღესასწაულო აღლუმზე არც ის დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატები მისულან, რომლებიც ბოიკოტის რეჟიმში არიან. ოპოზიცია დე ფაქტო გენერალური პროკურორის ურუზმაგ ჯაგაევის გადაყენებას და ცხინვალის იზოლატორში ცემით და წამებით მოკლული ინალ ჯაბიევის საქმის სამართლიან გამოძიებას მოითხოვს.

ᲒᲝᲒᲐ ᲐᲤᲪᲘᲐᲣᲠᲘ

იყო დრო, როცა კატორღაზე ნაკლებად იწერებოდა, დაბეჭდვით კი არაფერი იბეჭდებოდა, და როცა გაჩნდა საშუალება, რომ გამოქვეყნებულიყო კატორღაზე დაწერილი თხზულებები, რატომღაც სიხარულით აღნიშნავდნენ ხოლმე, რუსებს ბევრი აღმოაჩნდათ და ჩვენ იმდენი არ გვაქვსო. რა იყო გასახარი, არ ვიცი. რუსებს ბევრი აღმოაჩნდათ იმიტომ, რომ რუსები მეტნი არიან ჩვენზე, მაგრამ საქართველოშიც იყო დაწერილი რომანები, ჩვენთანაც არსებობდა არაერთი გამოუქვეყნებელი თხზულება კატორღაზეც და სხვა ტრაგიკულ მოვლენებზეც, მათ შორის რომანებიც, და ქართული მწერლობა ახერხებდა იმ უმძიმეს წლებში, თუნდ ზაზა გაბუნიას რომანში აღწერილ იმ საშინელი ტერორის ხანაში 30-იან და 40-იან წლებისა, შეენარჩუნებინა თავისი ძარღვი; და როგორი მძიმე და დამთრგუნველიც უნდა ყოფილიყო, მაინც ხერხდებოდა, რომ ის ძარღვი გაგრძელებულიყო, ლიტერატურული უწყვეტობა გაგრძელებულიყო... და ზაზა გაბუნიაც იმ საზარელ და იმავდროულად ჰეროიზმით აღსავსე რეალობას ხატავს.

როცა პირველი რომანი ქვეყნდება, უმეტესწილად ამბობენ, აი პირველი ცდა და ამას უნდა მოჰყვეს საინტერესო გაგრძელებაო.

> „მონოლოგი სარწეველა სავარძლიდან“ ცდა კი არა, უკვე სრულფასოვანი რომანია და ზაზა გაბუნიას უფლება აღარა აქვს, რომ ამას შესაფერისი გაგრძელება არ მოადევნოს. სხვათაშორის, ტომას ვულფი ამბობდა: პირველი რომანის დაწერა ისეთი ძნელი არ არის, როგორც მეორე რომანისა, იმიტომ, რომ პირველი რომანის დასრულების მერე უკვე მოლოდინია საზოგადოებაში, მითუმეტეს — თუ წარმატებულია ეს რომანი, და საზოგადოების ეს მოლოდინი უფრო გთრგუნავსო.

და მინდა ვუსურვოთ დებიუტანტ ავტორს რომანისტიკაში, არ დაეთრგუნოს საზოგადოების ამგვარ მოთხოვნილებას და პირიქით — ამას შეეწყოს ხელი, რომ არანაკლები წარმატებით გააგრძელოს მოღვაწეობა, მე შეგნებულად ვთქვი მოღვაწეობა და არა საქმიანობა, რადგანაც ეს ისეთი რომანია, რომ სწორედაც მოღვაწეობად ითქმის.

თურმე ანარეკლებს ვინ ჩივის — აგერ „მეხამრიდის“ მხატვრულ-ესთეტიკურ თვალთახედვაში ანარეკლის ანარეკლის ანარეკლის ანარეკლები ვართ და პლატონის გამოქვაბულამდეც ბევრი გვიკლია, მერეც რომ გვიძნელდება გზის გაგნება, ანუ გამოღვიძება კოშმარული სიზმრისაგან, თვითეული ჩვენგანი თავის გზაბილიკს რომ გადის მისტიკურ ხილვებსა და წარმოსახვებში, გზაბილიკს — ფრაგმენტულს, დაღავებულს... მაგრამ მაინც ხომ ვესწრაფით ჩვენსას!..

და რაოდენ მძიმეც უნდა იყოს გასაცნობად მართა ურუშაძის ამ საზარელი არსებებითა და გულისგამყინავი სახეცვალებადობით აღსავსე მხატვრული სამყარო, მაინც ნუგეშად და იმედად გვევლინება დიდი სულიერი შემობრუნების პროცესში — სხვა რომ არაფერი, ერთიანია, გაბმულია, მთლიანი მოზაიკური სურათია, სულიერი გამოცდილების შეუფერადებელი წარმოჩენაა.

და კიდევ ერთი ხელშესახები დასტური:

> ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲒᲕᲬᲧᲣᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ ᲘᲛ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲔᲚ ᲜᲘᲨᲐᲢᲡ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲗᲐ ᲑᲘᲚᲘᲙᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲕᲐᲧᲔᲜᲝᲡ.
>
> ᲮᲝᲛ ᲒᲔᲡᲛᲘᲗ ᲮᲛᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲘᲡᲐ, ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ?
>
> ᲠᲐᲙᲘᲚᲐ ᲒᲔᲡᲛᲘᲗ, ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲔᲓᲒᲠᲐᲓ ᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲗᲣᲜᲓ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.
>
> ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲪᲘᲜᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲒᲣᲚᲘᲐᲜᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲛᲮᲜᲔᲕᲔᲑᲔᲜ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲐᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘ...

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

◎ სიმართლე კი ასეთია

დღეს ერთიანობის დროა!

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობა, ისევე როგორც მთელი ქართული საზოგადოება, შეძრა რაგბის კავშირის ოფისთან 16 სექტემბერს მომხდარმა ფაქტმა. ჩვენ, გამგეობის წევრები, ვგმობთ ამ საქციელს და მიგვაჩნია, რომ ეს დაუშვებელია არა მარტო ზოგადად, არამედ ქართულ სპორტში, მით უმეტეს — რაგბის დიდ ოჯახში, რადგანაც იგი სრულიად ეწინააღმდეგება რაგბის ფასეულობებს, ღირებულებებსა და ურთიერთობის დამკვიდრებულ წესებს.

გულწრფელად ვუსურვებთ რამაზ ხარაზიშვილს, რომელიც შემთხვევითობის მსხვერპლი გახდა, სწრაფ გამოჯანმრთელებას და სათამაშო მოედანზე დაბრუნებას. იმედი გვაქვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები სწრაფად და დროულად დაადგენენ სიმართლეს.

ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ეს ინციდენტი მოხდა იმ დროს, როდესაც რაგბის კავშირში განიხილებოდა სრკ-ს ფინანსური მდგომარეობა და თითქოს მომხდარი დაკავშირებულია რაგბის კავშირის გამგეობასთან. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს განცხადებები არ შეესაბამება სიმართლეს. სინამდვილეში, ამ დროს რაგბის კავშირში მიმდინარეობდა მსჯელობა საქართველოს ჩემპიონატის დაწყების შესახებ, რომელიც განახლდება ამა წლის 9 ოქტომბერს.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მთავრობას დიდი მხარდაჭერისთვის, რომელიც მან აღმოუჩინა ქართულ რაგბის იმ უმძიმეს ვითარებაში, რომელიც გამოიწვია COVID-19-მა. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ ამ ურთულეს პირობებში მოიძია თანხა სარაგბო კლუბებისთვის შიდა ჩემპიონატების დასაწყებად. საქართველოს მთავრობისა და რაგბის კავშირის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად საქართველოს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში — „შემოდგომის ერთა თასში“, რაც ქართული რაგბის დიდი აღიარება და მრავალი თაობის თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას ვუხდით „ექვსი ერის“ მესვეურებს ამ გადაწყვეტილებისთვის და „მსოფლიო რაგბის“ დიდი მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ.

სამწუხაროდ, ამ წარმატებებისა და წინსვლის ფონზე ვრცელდება გარკვეული დესტრუქციული განცხადებები, რომლებიც საერთო საქმეს ნამდვილად არ წაადგება. მთავრობასთან შეთანხმებით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ბატონი თორნიკე გოგებაშვილის დანიშვნის შემდეგ დაიწყო ამ შეცდომების გამოსწორების პროცესი და სახეზე გვაქვს პირველი დადებითი შედეგები. ახლა არა კონფრონტაციის, არამედ მშვიდ ვითარებაში თავდაუზოგავი შრომის დროა. ჩვენ სრულ ნდობას ვუცხადებთ რაგბის კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ თორნიკე გოგებაშვილს და ვფიქრობთ, რომ მას, გამგეობის წევრებსა და კავშირის თანამშრომლებს უნდა მიეცეთ ნორმალური მუშაობის საშუალება. მით უმეტეს, რომ უამრავი რამ არის გასაკეთებელი — დასაწყები გვაქვს ყველა დონის ეროვნული ჩემპიონატი და ყველანი ერთად უნდა მოვემზადოთ ეროვნული ნაკრების უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო თამაშებისთვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ — დღეს არის არა დაძაბულობის, არამედ მუშაობისა და ერთიანობის დრო ქართული რაგბის პროგრესის უზრუნველსაყოფად, რისკენაც მოვუწოდებთ ყველას.

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან ერთად ყველაფერს გააკეთებს, რომ რაგბის კავშირში იყოს მშვიდი და სამუშაო ატმოსფერო და მიიღებს ყველა საჭირო ზომას დასახული მიზნების მისაღწევად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოვლენები კვლავ დესტრუქციული გზით განვითარდება, იტოვებს უფლებას ყველაფერს სათანადო პასუხი გასცეს.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

მეორე ტიტულიც, პირველი პრიზიც

მოსკოვის ცსკა ალექსანდრე გომელსკის თასის გამარჯვებული გახდა, საქართველოს ნაკრების კაპიტანი თორნიკე შენგელია კი რუსულ გრანდში გადასვლის შემდეგ პირველ ინდივიდუალურ ჯილდოს დაეუფლა. ამ კლუბმა ოთხთა ტურნირის ნახევარფინალში მბა-ს 106:59 სძლია, ფინალში კი პერმის „პარმასთან“ მატჩში პრობლემები ასევე არ შექმნია და 91:51 იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ არმიელებმა სეზონის სტარტზე ნევის თასიც მოიგეს.

ქართველმა კალათბურთელმა კვლავაც სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 18 წუთში 10 ქულა, 3 მოხსნა (2 შეტევაში), 3 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა. „თოკომოტივმა“ 10-დან 5 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი და 2 საჯარიმო ააცილა, ერთხელ დაუფარეს, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

მოსკოველთა რიგებში 10 და მეტი ქულა ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა ჩააგდო, ყველაზე შედეგიანი კი ამერიკელი დარუნ ჰილიარდი იყო — 14 ქულა, 7 მოხსნა.

ფინალის დასრულების შემდეგ ინდივიდუალური პრიზები ჩამოარიგეს და ერთ-ერთი მათგანი შენგელიას ერგო. თორნიკე ტურნირის საუკეთესო ფორვარდად აღიარეს და შესაბამისი ჯილდოც გადასცეს.

ამგვარად, ცსკა-მ ახალი სეზონისთვის მზადება დაასრულა და ხვალიდან უკვე VTB-ლიგაში ჩაებმება. რუსულ გუნდს სტარტზე ყაზახურ ნურ-სულთანში სტუმრობა ელის, სადაც „ასტანას“ დაუპირისპირდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ეტაპი

„კვარა“ ფეხბურთით ტკბება და ჩვენც გვატკბობს

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრაში „გენტსა“ და „რაპიდს“ შორის (2:1) გიორგი ჩაკვეტაძემ მორიგი ტრავმა მიიღო, ხოლო ზურიკო დავითაშვილს იმავე დღეებში კორონავირუსი დაუდასტურდა, 19 წლის ხვიჩა კვარაცხელია ჩვენს ლამის ერთადერთ სანაკრებო იმედად იქცა, რომელმაც მოახლოებული ოქტომბრის რაუნდის მატჩებში, განსაკუთრებით — ბელარუსთან ერთა ლიგის ნახევარფინალურ პლეი-ოფში, რომელმაც ისტორიაში პირველად უნდა გაგვიხსნას გზა ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირისკენ, გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას.

მოგეხსენებათ, უნიჭიერესმა ქართველმა ლეგიონერმა რუსეთის შარშანდელ პრემიერლიგაში მოსკოვის „ლოკომოტივის“ მაისურით გამართულ 10 თამაშში 1 გოლი გაიტანა, შემდეგ კი, ყაზანის „რუბინში“ გადასულმა, თათრეთის გუნდთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და სადებიუტო სეზონშივე იქაური ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დასახელდა.

ბუნებრივია, როგორც რკინიგზელთა ლეგენდარული ყოფილი თავკაცი იური სიომინი, ისე გულშემატკივრები დღემდე მისტირიან ამომავალ ქართველ ვარსკვლავს და კვლავ დაუნდობლად ლანძღავენ თავიანთი კლუბის მესვეურებს, თვითნაბადი ტალანტი რომ ვერ შეინარჩუნეს.

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ ამონარიდები ამ ბოლო დროს რუსულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიებიდან, რომლებშიც საუბარია როგორც ჩვენი თანამემამულის ჩრდილოეთში გადაბარგების პერიპეტიებზე, ისე მის ევროპულ პერსპექტივებზე.

ვიქტორ ტიშჩენკო — „ლოკომოტივის“ ყოფილი სკაუტი: როცა თვით ვლადიმერ გუცაევისგან მოისმენ — ბოლო 40 წლის განმავლობაში საქართველოში ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელი არ დაბადებულაო და ინგლისურ-გერმანული კარიერით ზურგგამაგრებული ვედრან ჩორლუკა გეტყვის — ჩემს მშობლიურ ხორვატეთში მისი ფასი უკვე ახლავე 25 მილიონი ევრო იქნებოდაო, დამეთანხმებით, ძნელია გულგრილი დარჩე.

ჰოდა, მეც გადავხედე საქართველოს ახალგაზრდულ და იუნიორთა ნაკრებებს, რამაც დამარწმუნა, რომ იგი ყველგან საუკეთესო იყო, სადაც კი თანატოლებთან ერთად უთამაშია — 17, 19 და 21-წლამდელთა გუნდებში.

თავდასხმაში სწრაფი და მწვავე, შეტევას სტაბილურად ის აგრძელებდა. თანამედროვე ფეხბურთში იშვიათია, რომ ვინმე ასე გაბედულად მიდიოდეს დრიბლინგზე. მას არაფრის ეშინოდა, არ ერიდებოდლა გამწვავებას და უპირატესობას იქმნიდა.

მოკლედ, მაშინვე დავასკვენი, რომ ჩვენთვის შესაფერის კანდიდატურას მივაგენი და სიომინს უყოყმანოდ მოვახსენე — 17 წლის ბიჭს ყველაფრის გაკეთება შეუძლია და სასწრაფოდ უნდა ავიყვანოთ-თქო. თავიდან კი შეიცხადა — 17 წლის? რა, გაგიჟდიო? — მაგრამ, როცა კიდევ ერთხელ მოისმინა დადებითი პასუხი, პირველ შთაბეჭდილებაში დასარწმუნებლად საქართველოში გამგზავრება შემომთავაზა.

რუსთავში ჩასული თითქოს დავითარსე — პირველი ტაიმის შუაში ხვიჩამ ტრავმა მიიღო და შესვენებამდე ვეღარ აქტიურობდა, მაგრამ თამაშის დასაწყისში, იმ ნავსიან ეპიზოდამდე მეტოქის კართან ორი სახიფათო მომენტის შექმნამ და მეორე ტაიმში საგოლე გადაცემის შესრულებამ, თანაც გასიებულკოჭიანი ფეხით, ჩემი არჩევანი კიდევ უფრო განამტკიცა — კვარაცხელია მიზანმიმართული, მობილიზებული და, რაც მთავარია, მებრძოლია!

მოხარული ვარ, რომ მან უკვე გაამყარა ჩემი პირველი დიაგნოზის საფუძვლიანობა.

ოლეგ იაროვინსკი — ყაზანის „რუბინის“ სპორტული დირექტორი: მართალია, ხვიჩა შესანიშნავად თამაშობს და მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი სავსებით ლოგიკურია, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მისი საწყისი სატრანსფერო ღირებულება ჯერჯერობით შეუძლებელია შეფასდეს, რადგან ის სწრაფი ზრდის ეტაპზეა. მისთვის აუცილებელია ისეთ გუნდში თამაში, სადაც მთავარი მწვრთნელი სრულად ენდობა და სადაც ყველა მისი სუპერდადებითი თვისება განვითარდება.

მას მწვრთნელთან მუდმივი მუშაობა სჭირდება, რადგან ასაკის გამო ზოგჯერ ამეტებს და იმპულსურ გადაწყვეტილებებს იღებს. კვარაცხელია ევროპულ გუნდში აუცილებლად გადავა და ძალიან ძვირიც ეღირება, მაგრამ ახლა ჩვენი კლუბისათვის მის გასაყიდად ყველაზე შეუფერებელი მომენტია ისევე, როგორც თავად ხვიჩასთვის. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაქსიმალური ნდობის მოპოვება, რაც „რუბინში“ ნამდვილად არ აკლია.

მეორეს მხრივ, ისიც ფაქტია, რომ ნებისმიერი კლუბისთვის მოთამაშეთა გაყიდვა არსებობის პროცესის ბუნებრივი ნაწილია და კარგად უნდა გესმოდეთ, რომ როდესაც თქვენს გუნდს ჰყავს ისეთი უსაზღვრო პოტენციალის მქონე ფეხბურთელი, როგორიც კვარაცხელიაა, ის ადრე თუ გვიან აუცილებლად წავა. ეს გარდაუვალია და ესაა პროგრესი. ასეთ მოთამაშეებს გარკვეულ ეტაპზე მომდევნო დიდი ნაბიჯის გადადგმა სჭირდებათ.

რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს, არ მსურს ამ თემაზე ვისაუბრო, რადგან სხვებიც ასე აფასებენ — მოდით, ახლა გარკვეულ თანხად ვიყიდოთ, რადგან ვთვლით, რომ მალე მისი ტრანსფერი კიდევ უფრო გაძვირდებაო.

სამაგიეროდ, ჩვენ ასე მიგვაჩნია — სჯობს, თავად გავყიდოთ კიდევ უფრო ძვირად, ვთქვათ გაისად, ზაფხულზე ან წელიწადნახევარში. ეს მის სრულყოფაზე იქნება დამოკიდებული. ახლა პოტენციური მყიდველები არ გადაგვიხდიან იმ ფასს, რომელიც ჩვენ გვაწყობს. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ჩვენი ამოცანები, ისევე, როგორც იმის შეგნება, რომ ფეხბურთელი გასაყიდად ბოლომდე უნდა მომზადდეს.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ ხვიჩას ჯერჯერობით მენტალურად ცოტათი გაძლიერება, „პრიმას“ როლში დამკვიდრება და სტაბილურობა სჭირდება.

მე მაიმედებს ის, რომ „კვარა“ როგორც შესანიშნავი ტიპის ფეხბურთელი, ისე ღირსეული ადამიანია, რომელსაც, უბრალოდ, უყვარს ფეხბურთის თამაში. იგი არსად არ ჩქარობს.

ჩვენ ყურადღებით განვიხილეთ ვითარება და მისი დამოკიდებულება საქმისადმი. ის ბედნიერია, რომ ფეხბურთელი გახდა და ტოპ-კლუბებთან დაკავშირებული ეფემერული მომავალი არ აღელვებს. კვარაცხელია ამ მომენტით სიამოვნებას იღებს.

სწორედ ამიტომაც თამამად ვაცხადებ, რომ ამ ეტაპზე იგი არ იყიდება და ეს არის ასპროცენტიანი გადაწყვეტილება!

გიორგი ზოთაძე

ცხოვნება

მშვიდობით, ჩვენო საამაყო მეგობარო!..

ელიზბარ ერისთავის ხსოვნას

მეშვიდე დღეა, ჩვენს შორის აღარ არის ელიზბარი. შვიდი დღეა, გლოვობს ერისთავების დიდი ოჯახი, ზეცას სწვდება მათი გლოვა. მათ ხმას უერთდება ჩვენი — ელიზბარის მეგობრების მწუხარება. მეგობრებისა, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა სკოლიდან, უმაღლესი სასწავლებლიდან, შრომითი საქმიანობიდან.

გარდაიცვალა ELIZBAR ERISTAVI. ჩვენი დროის გამორჩეული ენერგეტიკოსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი. მან ღირსეულად გააგრძელა თავისი დიდი წინაპრების მიერ გავლილი სახელოვანი გზა. მათ შორისაა დიდი პაპა — კონსტანტინე მაყაშვილი. პოეტი და დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე. დიდი ბებია — ეკატერინე გაბაშვილი, ქართული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჯერჯერობით ერთადერთი კლასიკოსი მწერალი ქალი. ყველასთვის ცნობილი მარო მაყაშვილი — პირველი ქალი, რომელსაც საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა, ელიზბარის დეიდაა. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალული არიან პაპა კოტე მაყაშვილი მეუღლესთან ერთად, ბებია — ეკატერინე გაბაშვილი, ბიძა — შალვა მაყაშვილი, დეიდა — ნუგეშა მაყაშვილი, და — თამარ ერისთავი.

ელიზბარმა წარმატებით განვლო თავისი ცხოვრება. თბილისის მეშვიდე საშუალო სკოლისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევით და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტთან“, სადაც განვლო საინჟინრო საქმიანობის ყველა საფეხური: იყო ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროექტის მთავარი ინჟინერი, ქვესადგურების პროექტირების განყოფილების უფროსი, ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მოადგილე, ხოლო 1979 წლიდან 1997 წლამდე — ამ ინსტიტუტის დირექტორი.

ამ პერიოდიდან იწყება ელიზბარის უფრო მასშტაბური ცხოვრება, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკაში მიმდინარე რეფორმებთან. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი), რომლის პირველი თავმჯდომარე იყო 7 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე — მთავარი მრჩეველი. ცხადია, შორს წაგვიყვანს სემეკში მისი ნაყოფიერი საქმიანობის დახასიათება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ პერიოდში მან მოიპოვა საყოველთაო აღიარება, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. აქ იგულისხმება 30-ზე მეტი ქვეყანა, სადაც ენერგეტიკის რეგულირება ხორციელდება და, სადაც პატივს სცემდნენ და იზიარებდნენ მის აზრს.

როგორც მაღალი დონის სპეციალისტი, ელიზბარ ერისთავი 1969-1972 წლებში მივლინებულ იქნა ეგვიპტეში. ასუანის ცნობილი ელექტროსადგურის მშენებლობა სწორედ ამ დროს დასრულდა და „ენერგოპროექტს“ ამ სადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გასანაწილებლად მაღალი ძაბვის ქსელის დაპროექტება ევალებოდა.

ელიზბარის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკაში არსებული გამოწვევები და მისი მომავალი. ამ პათოსით იყო გამსჭვალული თავის კოლეგებთან ერთად მისი უშუალო მონაწილეობით შედგენილი საქართველოს ენერგეეტიკის განვითარების კონცეფციები და პროგნოზული გაანგარიშებები.

ელიზბარ ერისთავი ძირითად საქმიანობასთან შეთავსებით წლების განმავლობაში სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, სადაც ბევრი საუკეთესო სპეციალისტის აღზრდაში მონაწილეობდა.

ელიზბარი იყო საქართველოს საინჟინრო და ენერგეტიკის აკადემიების აკადემიკოსი. თანაავტორია ორტომიანი მონოგრაფიისა „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები“, რომელსაც 2005 წელს საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია მიენიჭა.

ელიზბარ ერისთავი გამოირჩეოდა თავისი პიროვნული ხიბლით, ენციკლოპედიური ცოდნით, ჭეშმარიტი ინტელიგენტურობით, არაჩვეულებრივი შინაგანი სამყაროთი, იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.

ღირსეულად აგრძელებენ წინაპართა საქმეს მისი შვილები — ეკა და ლევანი. დარწმუნებული ვართ, ასევე ასახელებენ საამაყო ბაბუას მისი შვილიშვილები — ქეთევანი, გიორგი და სანდრო.

მშვიდობით, ჩვენო საამაყო მეგობარო. გპირდებით, რომ სამუდამოდ დარჩებით ჩვენს მეხსიერებაში.

მეგობართა ჯგუფი

25 სექტემბრამდე ნალექია მოსალოდნელი

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 21-25 სექტემბერს საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში +26, +31, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +23, +28 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი.

თბილისში შესაძლებელია მცირე წვიმა. ჰაერის ტემპერატურა 21-22 სექტემბერს +24,+26, ხოლო 23-25 სექტემბერს +27, +29 გრადუსი იქნება.

სანთელი

საზოგადოება „ჭკადუაშელი“ და მისი თავმჯდომარე ოთარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, გიორგი ყუფუნია, პრინცი ალენ მიურატი, ზურაბ გოგოხია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი დიპლომატისა და საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტად თხემით ტერფამდე დახვეწილი ინტელიგენტის

ნიკოლოზ (ბიჭი) ნიკოლოზის ძე დადიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მეუღლეს, ქალბატონ ლულუ დადიანსა და მთელ ოჯახს.

ევროკავშირი ლუკაშენკოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად არ აღიარებს

USAFRTHOEBISA და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეპ ბორელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი ბელარუსის ხელისუფლებასთან ურთიერთობების გადახედვის საკითხს განიხილავს იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი ლუკაშენკოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად არ აღიარებს.

„ბელარუსში სიტუაცია უარესდება. გრძელდება რეპრესიები მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ. დღეს ჩვენ ბელარუსი ხალხის მხარდაჭერისა და ბელარუსის ხელისუფლებასთან ჩვენი ურთიერთობების გადახედვის საკითხს განვიხილავთ. ჩვენ ლუკაშენკოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად არ ვაღიარებთ“, — განაცხადა ჟოზეპ ბორელმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებების დაწყებამდე.

დეპუტატების რაოდენობის შემცირებას გეგმავენ

ITALIASHI **საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატების რაოდენობის შემცირების შესახებ რეფერენდუმი ტარდება.**

რეფერენდუმის ფარგლებში ამომრჩევლებმა უნდა გადაწყვიტონ, შემცირდება თუ არა დეპუტატთა პალატის რაოდენობა 630-დან 400-მდე, ხოლო სენატორების 315-დან 200-მდე.

ხმის მიცემის პროცედურა 20 სექტემბერს დაიწყო.

თავდაპირველად რეფერენდუმი 29 მარტს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო გადაიდო.

ჯო ბაიდენი დონალდ ტრამპს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს

ჯო ბაიდენის **თქმით, დონალდ ტრამპის სურვილი, გარდაცვლილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლე რუთ ბეიდერ გინსბურგის შემცვლელის კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაასახელოს, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაა.**

აშშ-ის პრეზიდენტობის დემოკრატმა კანდიდატმა განაცხადა, რომ ტრამპის ეს ნაბიჯი მისი ძალაუფლების გამყარებას ემსახურება და რესპუბლიკელ სენატორებს მოუწოდა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირონ.



„მოვუწოდებ რესპუბლიკელ სენატორებს — გთხოვთ, თქვენი სინდისის მიხედვით იმოქმედეთ, მიეცით ადამიანებს ხმის ამოღების უფლება, ჩაახშეთ ალი, რომელშიც ჩვენი ქვეყანაა გახვეული. არ დაუჭიროთ მხარი არც ერთ ნომინანტს იმ ვითარებაში, რომელიც პრეზიდენტმა ტრამპმა და სენატორმა მაკკონელმა შექმნეს“, — აღნიშნა ბაიდენმა.

აშშ-ის უზენაეს სასამართლოში 9 მოსამართლეა. მათი იდეოლოგიური ბალანსი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების გამოტანისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

◎ წერილი რედაქციას

გთხოვთ, ისმინოთ ეს სიმართლე!

აქ დასმული საკითხები აწუხებს საზოგადოების უდიდეს ნაწილს. ვინძლო, მოხდეს სასწაული და ადრესატებმაც ისმინონ ჩემი სიმართლე.

1. მივმართავ ტელევიზიებს, პრესას, საინფორმაციო სააგენტოების ჟურნალისტებს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს: დაუშვებელია თვეების განმავლობაში საინფორმაციო პროგრამის 30 პროცენტი დაეთმოს კორონავირუსს — დაწვრილებით ცნობებს, რამდენი ადამიანია დაავადებული, რამდენი გამოჯანმრთელდა, რამდენი კარანტინშია, რამდენია მსუბუქი, მძიმე, კრიტიკული ავადმყოფი, რომელი კლასტერია, ასაკობრივი მონაცემები და სხვადასხვა. ყველაფერი ეს, არავის სჭირდება, ყველაფერი ეს საოცრად დამთრგუნველია!

ხომ შეიძლება, ეს გრძელი ისტორიები შეიცვალოს ჯანმრთელობის სამინისტროს მოკლე, ლაკონური ცნობით და გამოცხადდეს მაქსიმუმ 2-ჯერ დღეში?

2. ასევე დაუშვებლად მიმაჩნია კრიმინალური ამბების „საჯაროობა“, უმეტეს შემთხვევაში მათი სუბიექტური ინტერპრეტაციები, ადვოკატების, „ექსპერტების“ მიერ, დაზარალებულთა ნათესავებისთვის ეთერის სისტემატურად დათმობა. ყველა მათი „ინფორმაცია“ საკუთარი სამრეკლოდანაა დანახული და აყალიბებს მცდარ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც შემდგომ არ იჯერებს საგამოძიებო ორგანოების ობიექტურ, კვალიფიციურ დასკვნებს. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ ანალოგს. რატომ არ იმაღლებს ხმას იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა?

ამ რამდენიმე დღის წინათ მოვისმინეთ თამარ ბაჩალიაშვილის ტრაგედიის გარემოებათა უაღრესად სერიოზული კვლევა-დასკვნები — სახელმწიფო-საგამომძიებლო ორგანოების და ექსპერტების უდიდესი ძალისხმევის შედეგი.

დიდი პრობლემაა ცალკეული ტელევიზიების და ჟურნალისტების მიერ პოლიტიკური ინტერესებისთვის ტრაგედიის გამოყენების გახშირებული ფაქტები.

სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს სიტყვის აღვირახსნილობას. მკაცრად უნდა დაისაჯონ სიცრუის რუპორები, იქნება ეს პრესა-ტელევიზია თუ კონკრეტული ჟურნალისტები.

3. აქვე აღვნიშნავ:

მაინტერესებს, უხდიან თუ არა თვეების მანძილზე, ე. წ. „ბოიკოტის რეჟიმში“ მყოფ დეპუტატებს ხელფასს და თუ უხდიან, რატომ? რატომ უნდა მიიღოს უქნარობისთვის ხელფასი? (ნამუსზე არ არის ლაპარაკი, ამას უნამუსოს ვერ მოსთხოვ). ხვალ მასწავლებლებმა, ექიმებმა, მედპერსონალმა, პროფესურამ რომ გამოაცხადონ „ბოიკოტის რეჟიმი“ მიზერული ხელფასების გამო, ხოლო ზეგ პოლიცია და ჯარი გაიფიცოს, რა მოუვა ქვეყანას?..

პატივისცემით,
ვახტანგ დავითაია,
არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ჯორჯიის შტატის ნაცვლად - საქართველოს დროშა

ანალიტიკოსი გია აბაშიძე კურიოზული შემთხვევის შესახებ წერს, რომელიც ერთ-ერთ ამერიკულ თოქ-შოუში შეიქმნა.

„ერთ-ერთ ამერიკულ თოქ-შოუში ჯორჯიის შტატის ნაცვლად, საქართველოს დროშა ააფრიალეს. წამყვანი საუბრობდა იმაზე, რომ ჯორჯიაში დაბნეულობაა 2020 არჩევნებთან დაკავშირებით“ — წერს გია აბაშიძე.

ცნობისთვის, აშშ-ში მსგავსი გაუგებრობა 2018 წელსაც მოხდა, როცა ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში 2 დღეში 420 ადამიანი დაპატიმრეს ქუჩაში მარიხუანას მოწევისათვის.

ჯორჯიის შტატის მოსახლეობას, რომელმაც ინტერნეტში წაიკითხა, რომ ჯორჯიაში მარიხუანას მოწევა ლეგალური გახდა, საქართველო და ჯორჯიის შტატი ერთმანეთში აერიათ და მარიხუანას მოწევა ღიად დაიწყო.

ქორწინების 85 წლის იუბილე

აშშ-ში 1935 წელს დაქორწინებულმა წყვილმა ქორწინების 85 წლის იუბილე აღნიშნა.

102 წლის რალფი და 100 წლის დოროთი ნებრასკაში დაქორწინდნენ. ისინი იმდენად პატარები იყვნენ, რომ მათ მიერ ნაპოვნმა პირველმა მოსამართლემ ცერემონიის გამართვაზე უარი განაცხადა. წყვილისთვის სასიხარულოდ მეორე მოსამართლე დათანხმდა და 17 წლის რალფი და 16 წლის დოროთი დაქორწინდნენ.

„როცა პრობლემები გვქონდა, მე ყველაფერში ვეთანხმებოდი დოროთის, ეს გამოსავლის პოვნის ყველაზე კარგი საშუალებაა“, — განაცხადა რალფმა.

სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ში დაქორწინებული წყვილებს მხოლოდ 6% აღნიშნავს ქორწინებიდან 50 წლისთავს.

ძვირადღირებული საფოსტო მარკა მოიპარეს

ჰონგ-კონგში ქურდები ფილატელისტის ფუ ჩუნსიაოს სახლში შეიჭრნენ და საფოსტო მარკებთან ერთად ხელოვნების ნიმუშებიც მოიპარეს. წაღებული ნივთები ოთხ მილიარდ ჰონკონგურ დოლარადაა შეფასებული.

კამერის ჩანაწერებით ირკვევა, რომ ფილატელისტის სახლში სამი კაცი შევიდა. პოლიცია ეჭვობს, რომ ისინი არ იყვნენ პროფესიონალი მძარცველები, თუმცა ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სახლის პატრონი ჩინეთში იყო და ჰონგ-კონგშიკორონავირუსის პანდემიის გამო ვერ ბრუნდებოდა.

კოლექციონერის ინფორმაციით, მძარცველებმა წაიღეს 5 ძვირადღირებული მარკა. მათ შორის იშვიათი საფოსტო მარკა, რომელიც 1968 წელსაა გამოშვებული. მარკაზე ჩინეთის რუკაა გამოსახული და დატანილია მაო ძე დუნის ციტატა „მთელი ქვეყანა წითელია“.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 24 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2140; ევრო - 3.8057;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1711;
100 რუბლი - 4.2817; თურქული ლირა - 0.4249;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8919;
1000 სომხური დრამი - 6.6148.

ამინდი 22 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +26
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +28
თბილისი: ღამე +16, დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge